სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 26 ივნისი 2008 №145 (3369) ფასი 50 თეთრი

ნაჩელსარი ვარიანტი: გრანტი

მამა აბრამის ქართველი ბატკნები?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ლონდონის „ჩელსის“ ყოფილ თავკაცს, 53 წლის ებრაელ ავრაამ გრანტს ეპატიჟება.

როგორც შევიტყვეთ, ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გრანტს უახლოეს დღეებში შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ გრანტი „ჩელსის“ მთავარ მწვრთნელად 2007 წლის 20 სექტემბერს პორტუგალიელი ჟოზე მაურინიუს გაშვების შემდეგ დანიშნეს.

მისი ხელმძღვანელობით ლონდონელებმა ინგლისურ პრემიერლიგაში მეორე ადგილი დაიკავეს და ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც გავიდნენ.

და ერთიც: გრანტის „ჩელსიმ“ ინგლისის ლიგის თასი მოიგო.

ლონდონურ კლუბამდე გრანტი სამშობლოში — თელ-ავივის „მაკაბის“, ჰაიფას „მაკაბის“, ჰაიფას „ჰაპოელსა“ და ფეთაჰ-ტიკვას „ჰაპოელს“ წვრთნიდა.

2002-2006 წლებში კი გრანტი ისრაელის ნაკრებს თავკაცობდა და 2004 წელს თბილისშიც ჰყავდა გუნდი ჩამოყვანილი — მაშინ ებრაელებმა ალენ ჟირესის საქართველოს ამხანაგურ მატჩში 1:0 მოუგეს.

კახა შალამბერიძე

დოიჩლანდ უბერ ავს!



ავრაამ გრანტმა საქართველო თავად გაიხსენა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ევროპის ჩემპიონატისას, ასე ვთქვათ, ტაიმ-აუტი აიღო და აგერ ევრო-პირველობა ფინიშზე რომ გასწორდა, ქვეყნის ნაკრების მწვრთნელობის ყველაზე რეალური კანდიდატიც გამოაცხადა — 53 წლის ებრაელი ავრაამ გრანტი, ვინც ბოლოს ლონდონის „ჩელსის“ თავკაცობდა, უფრო ადრე კი ისრაელის ნაკრებს და სწორედ იმ პერიოდში თბილისშიც გახლდათ, მაშინ ისრაელმა საქართველოს 1:0 მოუგო. ავრაამ გრანტმა სამწვრთნელო კარიერა 1986 წელს დაიწყო, როცა ფეთახ-თიქვას „ჰაპოელი“ ჩაიბარა, შემდეგ კი თელ-ავივის „მაკაბიში“, ჰაიფას „ჰაპოელში“, ისევ თელ-ავივის „მაკაბიში“ და ჰაიფას „მაკაბიში“ მუშაობდა. გეხსომებათ გრანტმა „ჩელსიში“ ჟოზე მაურინიუ შეცვალა და გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში ათამაშა, ახლა კი...

გადრი კეთილაძის ფოტო

— ავრაამ გრანტთან მოლაპარაკება, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ ფაზაშია, უახლოეს დღეებში მას პირისპირ კიდევ ერთხელ შევხვდებით და ეგებ ისეც მოხდეს, რომ ეროვნულ გუნდში ახალი მწვრთნელი უკვე ამ თვეში დაინიშნოს — გვითხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა *უჩა უგულავამ.*

— მოლაპარაკება გადამწყვეტ ფაზაშიაო, თქვით, ანუ გრანტმა ფედერაციის პირობები და მოთხოვნები უკვე იცის...

— დიახ, მან იცის ჩვენი პირობები და უარზე არ არის, ჩაიბაროს საქართველოს ნაკრები. საუბრისას მან ის მატჩიც გაიხსენა, როცა მისმა ისრაელმა ჩვენს გუნდს თბილისში მოუგო.

— შეიძლება, რომ გრანტთან მოლაპარაკება ჩაიშალოს?

— ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მით უმეტეს, როცა ერთი-ორი შეხვედრა ჯერ კიდევ წინაა.

— დავუშვათ და, გრანტის ვარიანტი არ გამოვიდა...

— ყველანაირად მომზადებულები ვართ და ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატთა ჩვენს სიაში კიდევ რამდენიმე სპეციალისტია.

— მათთან მოლაპარაკებები რა სტადიაშია?

— ჩვენი პირობები ყველამ იცის და გრანტთან მოლაპარაკება თუ ჩაიშალა, დანარჩენებთან საუბარსაც უპრობლემოდ განვაახლებთ. გვსურს, რომ მწვრთნელი ასარჩევად გვყავდეს და საუკეთესო ვარიანტზე შევჩერდეთ.

— ყველაზე გვიან როდის შეიძლება, ნაკრებში მწვრთნელი დაინიშნოს?

— როგორც გითხარით, ეს, შესაძლოა, ავრაამ გრანტთან პირველივე შეხვედრის შემდეგ მოხდეს, ანუ უახლოეს დღეებში... თუ არა და, 10 ივლისამდე მაინც მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას და ახალ მწვრთნელს გამოვაცხადებთ.

კობა ინასარიძე

ჩვენები: ჩვენების პოპულარიზაციისთვის

გადრი კეთილაძის ფოტო

ერთი ახალი ფილმი ქართულ ფეხბურთზე — ფილმი დოკუმენტურია და „ჩვენები“ ჰქვია. მისი პრეზენტაცია გუშინ საღამოს ვაკის პარკის ღია კინოში მდებარე კლუბ „პვა“-ში გაიმართა.

ფილმი სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ დაკვეთით „ფორმულა კრეატივმა“ გადაიღო, მხარდამჭერი კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაა.

„ჩვენებში“ ასახულია ქართული ფეხბურთის პრობლემებიც და პერსპექტივებიც, ნაკრების ისტორია... გადაღება კი საქართველოს გარდა, ესტონეთსა და პორტუგალიაშიც მიმდინარეობდა.

ეს ფილმი საუკეთესო საშუალებაა საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელების საზოგადოებასთან გაცნობისა და, შესაბამისად, პოპულარიზაციისთვის.

პროექტის შემქმნელები მომავალშიც ბევრ საინტერესო სიახლეს გვპირდებიან.

ილია ნანოგაშვილი

ალავიძე სტანდარდში ჩადგება

კახა ცხადაძე: ხიდეშელიც გვინდოდა, მაგრამ უარი გვითხრა

„გუნდის შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვლება. უკვე დაზუსტებით გეტყვით, რომ ჩვენთან ითამაშებს ახალგაზრდა მეკარე მიხეილ ალავიძე. ის ჩამოსულია და ვარჯიშობს კიდეც“ — უთხრა აზერბაიჯანელ ჟურნალისტს „სტანდარდის“ თავკაცმა კახა ცხადაძემ.

21 წლის ალავიძე წინა სეზონის მეორე წრეში თბილისის „ლოკომოტივში“ იდგა, მანამდე კი დროდადრო მშვენიერი თამაშით დაგვამახსოვრა თავი რუსთავის „ოლიმპში“, სადაც ხანგრძლივი მშრალი სერიაც გამოაცხო.

ამასთან, ცხადაძემ თქვა, ძალიან გვინდოდა კიდევ ერთი ქართველის, „ზესტაფონის“ გიორგი ხიდეშელის დამატება, თუმც მან ჩვენთან თამაში არ ისურვაო.

ხიდეშელს რომც მოენდომებინა, ჯერ ვერსად გადავიდოდა, რადგან „ზესტაფონთან“ კონტრაქტის ვადა ბოლომდე არ ამოწურვია, ახალ ხელშეკრულებას კი ხელს არ აწერს და „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ის და მის დარ მდგომარეობაში მყოფი მურთაზ დაუშვილიც გუნდის დუბლებში ვარჯიშობენ.

ერთიც, „სტანდარდში“ კახა ცხადაძის ვაჟის, ბაჩანას გადასვლაზეც იყო ლაპარაკი, თუმცა ამაზე ჯერ არაფერი ისმის.

„სტანდარდი“ შეკრებას ბულგარეთში გაივლის და იქ პოტენციური ახალწვეულებიც შეუერთდებიან — მათ შორის, ქართველებიც...

ბაჩანა ცხადაძის ფოტო

კახა ცხადაძე

ილია ნანოგაშვილი

საბურთალო მაგდებურგს დაუმეგობრდა

გუშინ თბილისში, კომპანია „ფოლკსვაგენის“ ცენტრში, საფეხბურთო სკოლა „საბურთალოსა“ და გერმანულ კლუბ „მაგდებურგს“ შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა.

დოკუმენტს ხელი „მაგდებურგის“ მენეჯერმა დერნზ ჰოფმანმა და „იბერია-ბიზნეს ჯგუფის“ პრეზიდენტმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა მოაწერეს.

საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს“ მფლობელი სწორედ „იბერია-ბიზნეს ჯგუფია“.

გეცოდინებათ, „მაგდებურგი“ გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში თამაშობს.

პროექტის ფარგლებში ქართველ ბავშვებს საშუალება ექნებათ, ივარჯიშონ „მაგდებურგის“ საფეხბურთო სკოლაში.

ასევე, იგეგმება გერმანელი მწვრთნელის ჩამოსვლა, რომელიც „საბურთალოში“ ვარჯიშებს გამართავს.

კახა შალამბერიძე

მესამე დნიპროველი: ბექა ბერაშვილი

დნეპროპეტროვსკის „დნიპროში“ მესამე ქართველი გამოჩნდა: გეცოდინებათ, ჯაბა კანკავამ და სანდრო კობახიძემ მხრის ოპერაცია გაიკეთეს და ამჟამად სარეაბილიტაციო კურსს გადიან, ხოლო ვარჯიშს ორ კვირაში შეუდგებიან. მესამე ჩვენიანი კი დუბლებშია — 18 წლის მარცხენა ნახევარმცველი ბექა ბერაშვილი.

ბერაშვილმა ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ დუბლებთან 3:1 მოგებულ მატჩში კარგი შთაბეჭდილება დატოვა და, შესაძლოა, დაიტოვონ...

ილია ნანოგაშვილი

ლომიძე ზიმბრუში მიბრუნდა

ქართველმა მცველმა მამუკა ლომიძემ, რომელიც ლვოვის „კარპატიში“ ისინჯებოდა, გუნდი დატოვა და კიშინიოვის „ზიმბრუს“ დაუბრუნდა.

მოლდოვური moldfootball-ის ცნობით, ლომიძე „კარპატიში“ ერთი კვირა ვარჯიშობდა და ამხანაგური მატჩიც ჩაატარა ხარკოვის „მეტალისტის“ წინააღმდეგ. თუმცა მან უკრაინელთა მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა და, სავარაუდოდ, კარიერას კვლავ მოლდოვაში გააგრძელებს.

კახა შალამბერიძე

მჟავანაძის სრული მეორე

ქართველმა მცველმა კახა მჟავანაძემ, რომელიც ოდესის „ჩერნომორეცთან“ ერთად ემზადება, მეორე ამხანაგური მატჩი ჩაატარა.

„ჩერნომორეცი“ უკრაინის მეორელიგელ ვინიცას „ნივა-სვიტანოკს“ გაეჯიბრა და 2:1 დაამარცხა.

მჟავანაძემ შეუცვლელად ითამაშა.

ქართველი მარჯვენა მცველის სატრანსფერო უფლებები ოდესელებს ეკუთვნით და გასული სეზონის მეორე ნახევარში უკრაინის პირველლიგელ ოვიდიოპოლის „დნესტრში“ ჰყავდა განათხოვრებული.

საქართველოს ნაკრებში მჟავანაძემ 14 მატჩი ჩაატარა...

კახა შალამბერიძე

ამხანაგური მატჩები

ჟილინა 2:1 ბანიკი
ლიბერეცი 2:1 ბოლესლავი
სლავია 3:1 ნიტრა
აუსტრია (ვ) 2:1 აპოელი
აუსტრია (ლ) 2:4 ვადუცი
სიონი 2:0 სერვეტი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. X ტური
ტურკუ 2:0 ჰაკა

ისლანდია

I დივიზიონი
IX ტური
ვალიური 0:1 ჰაფნარფიორდური

იაპონია

ჯეი ლიგა.
გადადებული მატჩები
გამბა 1:0 კიოტო
კაშიმა 1:0 ოიტა

ვინ? ვის? სად?

ყველაზე ცუდად ზესტაფონმა დათვალა

ესეც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის 2008-2009 წლების სეზონის კალენდარი.

ადრევე ვიცოდით, რომ მეოცე ეროვნულში უმაღლესი ლიგა 12-გუნდიანი იქნებოდა, რაც კალენდრის შედგენისას უხერხულობებს ქმნიდა. კერძოდ, სამწრიანი ჩემპიონატის პირობებში, გუნდების ნახევარს 17 საშინაო მატჩის გამართვა უწევს, მეორე ნახევარს კი — 16 საშინაო შეხვედრა აქვთ. ჩამოვთვალოთ:

17 საშინაო მატჩს გამართავენ: „მგლები", „ბორჯომი", „გაგრა", „სპარტაკი", „ლოკომოტივი", „ოლიმპი".

16 საშინაო მატჩს გამართავენ: „სიონი", „ვიტ ჯორჯია", „დინამო", „ამერი", „მესხეთი", „ზესტაფონი".

თუმცა ამ ჩამონათვალში მცირე შესწორებაც შეგვიძლია შევიტანოთ, რაც საზიარო სტადიონების არსებობიდან გამომდინარეობს. შეგახსენებთ, რომ „მიხეილ მესხი" „ლოკომოტივის" გარდა „ვიტ ჯორჯიას" საშინაო არენაც იქნება, „ამერი" თავად „ამერისა" და „გაგრასი", ხოლო ბორჯომის „ჯემალ ზეინკლიშვილზე" „ბორჯომის" გარდა „მესხეთიც" ითამაშებს.

რამდენად აღიქვამენ „ვიტ ჯორჯია", „გაგრა" და „მესხეთი" ჩამოთვლილ სტადიონებს თავისად, ძნელი სათქმელია, აი, „ლოკომოტივს" კი მშობლიურ „მიხეილ მესხზე" 19 თამაში გამოუვა, „ამერს" გლდანში 17 მატჩი, ხოლო „ბორჯომს" „ზეინკლიშვილზე" — 19 მატჩი.

ამგვარად, სტუმარ-მასპინძლობის თვალსაზრისით, ყველაზე იღბლიანები „ლოკომოტივი" და „ბორჯომი" არიან.

ახლა ახალ კალენდარს სხვა კუთხით შევხედოთ: ერთია, რამდენს მასპინძლობ და რამდენს სტუმრობ და მეორეა, ვისი მასპინძლობა გიწევს და ვისთან სტუმრობა ორ-ორჯერ.

მეოცე ეროვნულ ჩემპიონატში ჩემპიონობისთვის რეალურად მებრძოლები, ვფიქრობთ, „დინამო", „ვიტ ჯორჯია", „ზესტაფონი", „ოლიმპი" და „ამერი" იქნებიან...

ახლა გადავხედოთ, როგორ არის განაწილებული ამ ხუთი გუნდის ურთიერშეხვედრები.

დინამო: ორ-ორჯერ მასპინძლობს „ოლიმპს" და „ვიტ ჯორჯიას", ორ-ორჯერ სტუმრობს „ზესტაფონს" და „ამერს".

ვიტ ჯორჯია: ორ-ორჯერ მასპინძლობს „ზესტაფონს" და „ამერს", ორ-ორჯერ სტუმრობს „დინამოს" და „ოლიმპს".

ზესტაფონი: ორჯერ მასპინძლობს „დინამოს", ორ-ორჯერ სტუმრობს „ოლიმპს", „ვიტ ჯორჯიას" და „ამერს".

ოლიმპი: ორ-ორჯერ მასპინძლობს „ზესტაფონს", „ამერს" და „ვიტ ჯორჯიას", ორჯერ სტუმრობს „დინამოს".

ამერი: ორ-ორჯერ მასპინძლობს „დინამოს" და „ზესტაფონს", ორ-ორჯერ სტუმრობს „ოლიმპს" და „ვიტ ჯორჯიას".

როგორც ამ ჩამონათვალიდან ჩანს, საუკეთესო კალენდარი „ოლიმპს" აქვს — ოთხი უშუალო კონკურენტიდან სამს რუსთავში იღებს. ყველაზე ცუდი განრიგი კი „ზესტაფონისაა" — ფავორიტთაგან იმერეთში ორჯერ მხოლოდ „დინამო" ჩადის. ამ თვალსაზრისით, კარგი ეთქმის „ამერის" განრიგსაც, რაკი „დინამოს" და „ზესტაფონს" ხომ ორჯერ მასპინძლობს, ხოლო „ვიტ ჯორჯიას" „მშობლიური" „მიხეილ მესხი" „ამერისთვის" უფრო ნაცნობი არენაა თუ ვიტელებისთვის, კიდევ საკითხავია.

საბოლოოდ, ყველა კომპონენტი რომ შევაჯამოთ, ყველაზე კარგი კალენდარი „ოლიმპისაა" — მეტი საშინაო მატჩიც აქვს და უშუალო კონკურენტების უმეტესობასაც რუსთავში ორ-ორჯერ მიიღებს.

ყველაზე ცუდი კალენდარი კი „ზესტაფონს" აქვს — ნაკლებ საშინაო მატჩსაც ატარებს და უშუალო კონკურენტების უმრავლესობას სტუმრობს.

გიორგი დარჯანია

ქართველების ყოჩაღობა ჩეხეთ-სლოვაკეთში

სლოვაკური „ნიტრას" პირველმა თავდამსხმელმა ირაკლი ლილუაშვილმა ტესტ-მატჩში იყოჩაღა და ჩეხეთის ჩემპიონ პრაღის „სლავიას" გაუტანა გოლი, თუმც მისიანებმა 1:3 წააგეს.

იმედია, ეს გოლი ლილუაშვილს „ნიტრას" ძირითად შემადგენლობასთან მიაახლოვებს.

ასევე კარგი მატჩი ჩაატარა ჩეხური „ბოლესლავის" 20 წლის ქართველმა გიორგი განუგრავამ. მართალია, მისმა გუნდმა „ლიბერეცთან" ამხანაგურში 1:2 დათმო, მაგრამ „განუ" ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდში — შეუცვლელად იბურთავა ნახევარდაცვის ცენტრში და საგოლე კომბინაციაც მისი დაწყებული იყო.

ილია ნანოგაჯვილი

ტოპის უარი ავსტრიას

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა ავსტრიის ნაკრების გაწვრთნაზე უარი თქვა.

ტოპმიოლერი, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 2008 წლის 1 მაისს გაათავისუფლა, მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩენილი ჩეხეთის ნაკრების თავკაცის პოსტზე მთავარ კანდიდატად ითვლება.

გერმანული „კიკერის" ცნობით, ჩეხების ახალი მწვრთნელის ვინაობა ივლისის შუაში გახდება ცნობილი.

რაც შეეხებათ ავსტრიელებს, მათ მწვრთნელის მოძიება ნაკრებიდან იოზეფ ჰიკერსბერგერის წასვლის შემდეგ დაიწყეს.

ძახა შალამბერიძე

საქართველოს უმაღლესი ლიგა 2008 ჩემპიონატი კალენდარი

1 ტური	12 ტური	23 ტური
მგლები – სიონი	სიონი – მგლები	მგლები – სიონი
ბორჯომი – ვიტ ჯორჯია	ვიტ ჯორჯია – ბორჯომი	ბორჯომი – ვიტ ჯორჯია
გაგრა – დინამო	დინამო – გაგრა	გაგრა – დინამო
სპარტაკი – ამერი	ამერი – სპარტაკი	სპარტაკი – ამერი
ლოკომოტივი – მესხეთი	მესხეთი – ლოკომოტივი	ლოკომოტივი – მესხეთი
ოლიმპი – ზესტაფონი	ზესტაფონი – ოლიმპი	ოლიმპი – ზესტაფონი
2 ტური	**13 ტური**	**24 ტური**
სიონი – ზესტაფონი	ზესტაფონი – სიონი	სიონი – ზესტაფონი
მესხეთი – ოლიმპი	ოლიმპი – მესხეთი	მესხეთი – ოლიმპი
ამერი – ლოკომოტივი	ლოკომოტივი – ამერი	ამერი – ლოკომოტივი
დინამო – სპარტაკი	სპარტაკი – დინამო	დინამო – სპარტაკი
ვიტ ჯორჯია – გაგრა	გაგრა – ვიტ ჯორჯია	ვიტ ჯორჯია – გაგრა
მგლები – ბორჯომი	ბორჯომი – მგლები	მგლები – ბორჯომი
3 ტური	**14 ტური**	**25 ტური**
ბორჯომი – სიონი	სიონი – ბორჯომი	ბორჯომი – სიონი
გაგრა – მგლები	მგლები – გაგრა	გაგრა – მგლები
სპარტაკი – ვიტ ჯორჯია	ვიტ ჯორჯია – სპარტაკი	სპარტაკი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – დინამო	დინამო – ლოკომოტივი	ლოკომოტივი – დინამო
ოლიმპი – ამერი	ამერი – ოლიმპი	ოლიმპი – ამერი
ზესტაფონი – მესხეთი	მესხეთი – ზესტაფონი	ზესტაფონი – მესხეთი
4 ტური	**15 ტური**	**26 ტური**
სიონი – მესხეთი	მესხეთი – სიონი	სიონი – მესხეთი
ამერი – ზესტაფონი	ზესტაფონი – ამერი	ამერი – ზესტაფონი
დინამო – ოლიმპი	ოლიმპი – დინამო	დინამო – ოლიმპი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი	ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია	ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
მგლები – სპარტაკი	სპარტაკი – მგლები	მგლები – სპარტაკი
ბორჯომი – გაგრა	გაგრა – ბორჯომი	ბორჯომი – გაგრა
5 ტური	**16 ტური**	**27 ტური**
გაგრა – სიონი	სიონი – გაგრა	გაგრა – სიონი
სპარტაკი – ბორჯომი	ბორჯომი – სპარტაკი	სპარტაკი – ბორჯომი
ლოკომოტივი – მგლები	მგლები – ლოკომოტივი	ლოკომოტივი – მგლები
ოლიმპი – ვიტ ჯორჯია	ვიტ ჯორჯია – ოლიმპი	ოლიმპი – ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი – დინამო	დინამო – ზესტაფონი	ზესტაფონი – დინამო
მესხეთი – ამერი	ამერი – მესხეთი	მესხეთი – ამერი
6 ტური	**17 ტური**	**28 ტური**
სიონი – ამერი	ამერი – სიონი	სიონი – ამერი
დინამო – მესხეთი	მესხეთი – დინამო	დინამო – მესხეთი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი	ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია	ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი
მგლები – ოლიმპი	ოლიმპი – მგლები	მგლები – ოლიმპი
ბორჯომი – ლოკომოტივი	ლოკომოტივი – ბორჯომი	ბორჯომი – ლოკომოტივი
გაგრა – სპარტაკი	სპარტაკი – გაგრა	გაგრა – სპარტაკი
7 ტური	**18 ტური**	**29 ტური**
სპარტაკი – სიონი	სიონი – სპარტაკი	სპარტაკი – სიონი
ლოკომოტივი – გაგრა	გაგრა – ლოკომოტივი	ლოკომოტივი – გაგრა
ოლიმპი – ბორჯომი	ბორჯომი – ოლიმპი	ოლიმპი – ბორჯომი
ზესტაფონი – მგლები	მგლები – ზესტაფონი	ზესტაფონი – მგლები
მესხეთი – ვიტ ჯორჯია	ვიტ ჯორჯია – მესხეთი	მესხეთი – ვიტ ჯორჯია
ამერი – დინამო	დინამო – ამერი	ამერი – დინამო
8 ტური	**19 ტური**	**30 ტური**
სიონი – დინამო	დინამო – სიონი	სიონი – დინამო
ვიტ ჯორჯია – ამერი	ამერი – ვიტ ჯორჯია	ვიტ ჯორჯია – ამერი
მგლები – მესხეთი	მესხეთი – მგლები	მგლები – მესხეთი
ბორჯომი – ზესტაფონი	ზესტაფონი – ბორჯომი	ბორჯომი – ზესტაფონი
გაგრა – ოლიმპი	ოლიმპი – გაგრა	გაგრა – ოლიმპი
სპარტაკი – ლოკომოტივი	ლოკომოტივი – სპარტაკი	სპარტაკი – ლოკომოტივი
9 ტური	**20 ტური**	**31 ტური**
ლოკომოტივი – სიონი	სიონი – ლოკომოტივი	ლოკომოტივი – სიონი
ოლიმპი – სპარტაკი	სპარტაკი – ოლიმპი	ოლიმპი – სპარტაკი
ზესტაფონი – გაგრა	გაგრა – ზესტაფონი	ზესტაფონი – გაგრა
მესხეთი – ბორჯომი	ბორჯომი – მესხეთი	მესხეთი – ბორჯომი
ამერი – მგლები	მგლები – ამერი	ამერი – მგლები
დინამო – ვიტ ჯორჯია	ვიტ ჯორჯია – დინამო	დინამო – ვიტ ჯორჯია
10 ტური	**21 ტური**	**32 ტური**
სიონი – ვიტ ჯორჯია	ვიტ ჯორჯია – სიონი	სიონი – ვიტ ჯორჯია
მგლები – დინამო	დინამო – მგლები	მგლები – დინამო
ბორჯომი – ამერი	ამერი – ბორჯომი	ბორჯომი – ამერი
გაგრა – მესხეთი	მესხეთი – გაგრა	გაგრა – მესხეთი
სპარტაკი – ზესტაფონი	ზესტაფონი – სპარტაკი	სპარტაკი – ზესტაფონი
ლოკომოტივი – ოლიმპი	ოლიმპი – ლოკომოტივი	ლოკომოტივი – ოლიმპი
11 ტური	**22 ტური**	**33 ტური**
ოლიმპი – სიონი	სიონი – ოლიმპი	ოლიმპი – სიონი
ზესტაფონი – ლოკომოტივი	ლოკომოტივი – ზესტაფონი	ზესტაფონი – ლოკომოტივი
მესხეთი – სპარტაკი	სპარტაკი – მესხეთი	მესხეთი – სპარტაკი
ამერი – გაგრა	გაგრა – ამერი	ამერი – გაგრა
დინამო – ბორჯომი	ბორჯომი – დინამო	დინამო – ბორჯომი
ვიტ ჯორჯია – მგლები	მგლები – ვიტ ჯორჯია	ვიტ ჯორჯია – მგლები

კოკოშკოვის თვალით დანახული NBA

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ამერიკელებისთვისაც საინტერესო კაცია

ერთი კვირაც არაა, რაც საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცმა იგორ კოკოშკოვმა კლუბი გამოიცვალა: „დეტროიტ პისტონზის“ სამწვრთნელო შტაბიდან „ფინიქს სანზისაში“ გადაბარგდა. ის სამი წელი „დეტროიტში“ მუშაობდა ასისტენტ მწვრთნელად და ამ გუნდის ავანჩავანი კარგადაც მოეხსენება. ორი დღის წინ ამერიკულ ვებგვერდ „hoopsworld“-ზე ნიკოლა ოლიჩის მოზრდილი სტატია გამოქვეყნდა, სადაც იგორ კოკოშკოვი „დეტროიტის“ განვლილ სეზონს აფასებს და სხვა საინტერესო საკითხებზეც საუბრობს. სტატიის სათაურია: „დეტროიტი — კარგად შეზეთილი მანქანა“.

„ნბა არის მსოფლიოში ყველაზე კარგად ორგანიზებული და ერთადერთი შემოსავლიანი საკალათბურთო ლიგა“ — ამბობს იგორ კოკოშკოვი, რომელიც ნბა-ს პირველი არაამერიკელი მწვრთნელია. ის სერბეთში დაიბადა და ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდშიც მუშაობდა. 2003 წლიდან „კლიპერსის“ ასისტენტი მწვრთნელი გახდა, ბოლო წლები კი „დეტროიტში“ გაატარა. რამდენიმე დღის წინ ის „ფინიქსში“ გადავიდა, სადაც თავისი დეტროიტელი კოლეგის, ახლა კი „სანზში“ გაუფროსებული ტერი პორტერის თანაშემწე იქნება. ის ძალიან ფრთხილი და დაკვირვებულია შეფასების დროს. ერთმა დეტროიტელმა კალათბურთელმა კოკოშკოვზე თქვა — იგორი სიტყვებს სათუთად არჩევსო.

აქედან გამომდინარე, გასაგებია ის ფრთხილი ტონი, რითაც კოკოშკოვი „დეტროიტის“ განვლილ სეზონს აფასებს. მისი თქმით, შედეგი ამჯერადაც არადამაკმაყოფილებელი იყო, ისევე, როგორც ბოლო ორ სეზონში. მართალია, ლიგის 4 საუკეთესო გუნდში ამ პერიოდში „დეტროიტი“ სულ ხვდებოდა, მაგრამ ეს ის არ იყო, რასაც გუნდის ბოსები ითხოვდნენ.

„შეცდომის უფლება თითქმის არ გვქონდა. გინდა არ გინდა, იმ მიზნის განხორციელებას უნდა შეჭიდებოდით, რასაც კლუბის ორგანიზაცია აყენებდა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ „დეტროიტის“ ხელმძღვანელობა ამის გამოა ასეთი ძლიერი და პროგრესირებადი“ — ამბობს კოკოშკოვი და განაგრძობს...

„ამასთან ერთად ეს ერთგვარი ზეწოლაა, რაც ნბა-ში მუშაობის სიმძიმეზე მიუთითებს. აქაური კლუბების ორგანიზაცია უმაღლეს დონეზეა, მაგრამ ახალი ტენდენცია მათ ცვლილებებზე მიუთითებს. იმისთვის, რომ მომავალშიც იყვნენ შემოსავლიანები, გუნდების ორგანიზება მუდმივად უნდა ითვისებდეს სიახლეს. დაახლოებით 15 წლის წინ კლუბში გენერალური დირექტორის ფუნქცია თითქმის ფიქტიური იყო. მაშინ მთავარ როლს მწვრთნელები ასრულებდნენ, რომლებსაც უდიდესი გავლენა ჰქონდათ მოთამაშეებზე, იყვნენ ქარიზმატულები და კლუბის სტრატეგიის წარმმართველებიც. იმ ძველი სკოლის წარმომადგენელი მწვრთნელები ახლაც მუშაობენ, მაგრამ კლუბებში უკვე სულ სხვები წარმართავენ მოედანსგარეთა მოვლენებს“.

„დეტროიტშიც“ ასეა, ოღონდ ამ გუნდში კარგად აუღეს სიახლეს ალღო და შედეგიც სახეზეა. მაიკლ ჯორდანის კალათბურთიდან წასვლის შემდეგ „დეტროიტი“ აღმოსავლეთის გამწევ ძალად იქცა, თუმც ტიტული მხოლოდ ერთხელ მოიგო.

„დეტროიტი“ კარგად შეზეთილი მანქანაა — განაგრძობს კოკოშოვი — ამის თავი და თავი სწორედ გენერალური დირექტორი ჯო დუმარსია, რომელიც ძალიან ფრთხილი, აუჩქარებელი და დაფიქრებულია გადაწყვეტილების მიღების დროს. თუკი ის წარმატებულ შედეგში არაა დარწმუნებული, ნაბიჯს არ გადადგავს. ამ გუნდში თავისებური იერარქიაა. მთავარი მწვრთნელი მთავარი კაცი კი არ არის, არამედ ერთ-ერთი იმათგანია, რომლებიც „დეტროიტის“ წარმატებისთვის იბრძვიან, თუმც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია მისი ამ საქმეში მონაწილეობა“.

როცა გასული სეზონის დასრულების შემდეგ ფლიპ სონდერსი გუნდიდან გაუშვეს, ჯო დუმარსმა პრესკონფერენციაზე საინტერესო, თუმცა ბევრისთვის უცნაური რამ ახსენა — „მოთამაშის ლიგა“. კოკოშკოვი სწორედ ის მწვრთნელია, რომელიც ამ იდეას იზიარებს. ანუ ის თვლის, რომ ნბა უნდა იყოს მოთამაშის და არა მწვრთნელის ლიგა.

„ეს ჩვეულებრივია — განაგრძობს კოკოშკოვი — ეს არის მოთამაშეთა ლიგა. ყველა ჩვენთაგანი: მწვრთნელები, გულშემატკივრები, მენეჯერები... ყველა მოთამაშეების ხარჯზე ვცხოვრობთ. ხალხი მოდის მოთამაშეების სანახავად, ისინი კალათბურთის ყურებაში იხდიან ფულს და არ აინტერესებთ, რა საქმითაა დაკავებული მწვრთნელი“.

საინტერესო მომენტია, როცა არაამერიკელ მოთამაშეს ეკითხებიან, არის თუ არა ნბა მსოფლიოში საუკეთესო ლიგა?! ყველა, რა თქმა უნდა, აღიარებს, რომ ეს ასეა, თუმცა მხოლოდ მათი მიმიკებიდანაც შეიძლება ამის გაგება. ისინი მოდიან ნბა-ში, ცხოვრობენ მდიდრულად და ამის საფუძველი არის მხოლოდ მოედანზე გასვლა. ყველა ბედნიერია, რადგან ყველამ იცის თავისი საქმე და ამაში საკმაოდ ბევრ ფულს იღებენ.

„ოფიციალურად არ არის აღიარებული, რომ ნბა მსოფლიოში საუკეთესო ლიგაა. — ფიქრობს კოკოშკოვი — თუმცა ის ცხადია, რომ შემოსავლიანობით მას ბადალი არ ჰყავს. ევროლიგაში შეიძლება, სეზონი ისე დასრულდეს, რომ მისმა მფლობელებმა მოგება ვერ ნახონ. ინვესტიციის მომგებიანად ამოღება მხოლოდ ნბა-შია შესაძლებელი. თქვენ შეგიძლიათ ევროპულ კლუბში 20 მილიონი ევროს ჩადება, მაგრამ 40 მილიონის ამოღებას არ უნდა ელოდოთ. ამიტომაც ნბა-ს მონოპოლია უპყრია კალათბურთში და მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეებიც აქ იყრიან თავს“.

ერთადერთი, რაც ევროპის უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს, საგადასახადო სისტემა და ევროს გამყარებაა. ამერიკაში მოთამაშეს ხელფასიდან სოლიდური თანხა ეჭრება, ევროპაში კი — არა. თან ევროს კურსი იზრდება და ის დოლართან მიმართებაში უკვე მნიშვნელოვნად საიმედო ვალუტაა.

„ამ მხრივ ევროპასა და ნბა-ს შორის დიდი განსხვავებაა — ასე ასრულებს კოკოშკოვი საუბარს — მიუხედავად ამისა, არა მგონია, რომელიმე ევროპელმა კალათბურთელმა ნბა-ში გადასვლის პერსპექტივაზე უარი თქვას. თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს გამონაკლისებიც“.

ყველაფერი თურქეთში გაირკვევა

ბაინდურაშვილი თუ გავაშელიშვილი

28-29 ივნისს სტამბოლში საერთაშორისო ტურნირი გაიმართება, რომელზეც საქართველოს ნაკრები ოპტიმალური შემადგენლობით გამოვა. ეროვნული გუნდის პირველ ნომრებს დავით სიმონიშვილი და ვარლამ ლიპარტელიანი დაემატათ. რაც ყველაზე მთავარია, 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩვენები ორი მოჭიდავით იასპარეზებენ. საბა გავაშელიშვილი წავა პეკინის ოლიმპიადაზე თუ გიორგი ბაინდურაშვილი, ამას სწორედ თურქული ტატამი გადაწყვეტს. ამ ორი ფალავანს 81 კგ-ში ჭიდაობა გარდაუვალია, დანარჩენები კი შეიძლება, შოთა ხაბარელმა სხვადასხვა წონაში გამოცადოს. საინტერესო იქნება ვარლამ ლიპარტელიანის გამოსვლა. ის ხომ ამ ბოლო დროს თითქმის ყველა ტურნირზე იმარჯვებს.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე:

დავით სიმონიშვილი
ნესტორ ხერგიანი
ზაზა კედელაშვილი
დავით ქევხიშვილი
გიორგი ბაინდურაშვილი
საბა გავაშელიშვილი
ვარლამ ლიპარტელიანი
ირაკლი ცირეკიძე
ლომერ ჟორჟოლიანი
ლაშა გუჯეჯიანი

ზურაბ მიგრიაული

კაცებს მიზანი აქვთ

საფრანგეთის ქალაქ ბოიაში მშვილდოსნობაში ევროპის გრანპრის საკვალიფიკაციო ეტაპი მიმდინაროებს. ტურნირი ოლიმპიურ ლიცენზიებსაც გასცემს. მასში ორი ქართველი სპორტსმენი — ქრისტინე ესებუა და ხათუნა ნარიმანიძე — წარმატებით მონაწილეობს. აღსანიშანვია, რომ ჩვენებმა შეჯიბრების პირველ დღეს საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენეს. ესებუამ 648 ქულით მე-13 ადგილი დაიკავა, ხოლო ნარიმანიძემ — 627 ქულით მე-40. ქართველების მონაგარი საკვლევით საკმარისი გამოდგა ოცდამეთორმეტედფინალურ პლეი ოფში გასასვლელად, რომლის პირველ ეტაპზეც ესებუა ვენესუელელ ლეონის შეხვდება, ნარიმანიძეს კი ფრანგი ანროლდი დაუპირისპირდება.

ამავე ტურნირზე ასპარეზობდნენ შალვა ტიბლიაშვილი და ტარიელ თაგირაძე. სამწუხაროდ, ისინი უკვე დაემშვიდობნენ შეჯიბრებას. ტიბლიაშვილმა 593 ქულით 128-ე ადგილი დაიკავა, ხოლო თაგირაძე 579 ქულით 142-ე იყო.

ზურაბ მიგრიაული



დავით ილარიანი

ზურაბ დოლიძაშვილის ფოტო

ქართველების სლოვაკური მონაგარი

სლოვაკეთის ქალაქ ბანსკაბისტრიცაში დასრულდა ევროპის თასის გათამაშება ქვედა ეშელონის ნაკრებებისთვის. მასში 14 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ტურნირზე ქართველმა ვაჟებმა გუნდურ ჩათვლაში მე-7, ხოლო ქალებმა მე-10 ადგილი დაიკავეს.

ეროს ტყორცნაში მე-2 ადგილზე გავიდა ლერი ჩიტიშვილი — 61,64. ვერცხლის მედალი მოიგო 110-მეტრ თარჯრბენში დავით ილარიანმაც — 14,06. მე-3 პოზიციას უწია ბადროს ტყორცნაში სალომე რიგიშვილმა — 47,68. მანვე ბირთვის კვრაში მე-6 ადგილი დაიკავა — 12,92.

1500 მეტრზე სირბილში მე-4 პოზიცია დაიჭირა მერაბ თინიძემ — 3.50,4. მე-4-ზე გავიდა 400 მეტრზე სირბილში ენდრიკ ზილბერშტეინიც. სხვა ქართველმა მძლეოსნებმა კი გაცილებით დაბალი შედეგები აჩვენეს და ნაკრების ქულათა მარაგი მწირი მოსავლით შეავსეს.

ზურაბ მიგრიაული

უიმბლდონი 2008. ბალახი. 23 ივნისი-6 ივლისი საპრიზო 14 883 120 ₤

საფინმა ჯოკერი გაჭრა

მარატ საფინი

ნოვაკ ჯოკოვიჩი

კაცები

მეორე წრე

ბობი რეინოლდსი (აშშ) — ფრენკ დანსევიჩი (კანადა) 4:6 7:6 6:4 6:4; **ანდრეა სეპი** (29, იტალია) — ფლორენ სერა (საფრანგეთი) 6:3 6:7 6:2 6:7 6:4; **სტანისლას ვავრინკა** (13, შვეიცარია) — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 7:6 6:3 7:5; **მარატ საფინი** (რუსეთი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) 6:4 7:6 6:2; **ლეიტონ ჰიუიტი** (20, ავსტრალია) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 7:6 6:0 6:2; **მიშა ზვერევი** (გერმანია) — ხუან-კარლოს ფერერო (21, ესპანეთი) 6:4 6:4 2:1 (უარი); **ფილიჩიანო ლოპეზი** (31, ესპანეთი) — როკო კარანუსიჩი (ხორვატია) 6:3 6:3 6:4; **სიმონე ბოლელი** (იტალია) — ფერნანდო გონსალესი (15, ჩილე) 7:6 7:6 3:6 7:6; **რონერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:3 6:4 7:6; **მარკოს ბაღდატისი** (10, კვიპროსი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:4 6:4 6:4; **მარკ ფილჟელი** (საფრანგეთი) — ილია ბოზოლიაკი (სერბეთი) 4:6 5:7 7:6 7:6 6:3; **ტომაშ ბერდიხი** (11, ჩეხეთი) — ვიქტორ პანუსკუ (რუმინეთი) 6:7 7:6 6:1 6:2; **ფერნანდო ვერდასკო** (22, ესპანეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 7:6 6:7 6:1 6:1; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — ფილიპ პეტშნერი (გერმანია) 6:1 6:4 6:7 4:6 6:3; **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) — იგორ ანდრეევი (რუსეთი) 3:6 6:3 6:4 6:2; **ტომაზ ბელუჩი** (ბრაზილია) — სიმონ სტადლერი (გერმანია) 3:6 6:3 6:1 6:7 8:6

ქალები

პირველი წრე

ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) — მარია ელენა კამერინი (იტალია) 6:3 6:7 6:3;

მეორე წრე

კეისი დელაკუა (კანადა) — პაულინ პარმენტიე (საფრანგეთი) 1:6 6:2 6:3; **ძი ძენგი** (ჩინეთი) — ელენა ბალტაჩა (ბრიტანეთი) 6:2 7:5; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (18, ჩეხეთი) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 6:2 0:6 6:4; **ანა ივანოვიჩი** (1, სერბეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:7 7:6 10:8; **ბეტანი მატეკი** (აშშ) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 7:6 6:4; **მარიონ ბარტოლი** (11, საფრანგეთი) — ტატიანა პერებინისი (უკრაინა) 6:2 7:5; **აგნეს სუბვაი** (15, უნგრეთი) — მონიკა ნიკულესკუ (რუმინეთი) 5:7 7:5 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) — კატერინა ბონდარენკო (უკრაინა) 6:2 6:3; **სერენა უილიამსი** (6, აშშ) — ურსულა რადვანსკა (პოლონეთი) 6:4 6:4; **ამელი მორესმო** (29, საფრანგეთი) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 4:6 6:1 6:1; **ანა ჩიკვეტაძე** (8, რუსეთი) — ედინა გალოვიცი (რუმინეთი) 6:4 6:2; **ანაბელ მედინა გარიგესი** (ესპანეთი) — ფრანჩესკა შიავონე (20, იტალია) 3:6 7:5 8:6; **ანასტასია პავლუჩენკოვა** (რუსეთი) — ნა ლი (ჩინეთი) 6:2 6:4; **ბარბორა ზაჰლავოვა სტრიცოვა** (ჩეხეთი) — ალიონა ბონდარენკო (28, უკრაინა) 6:3 3:0 (უარი); **ევგენია როდინა** (რუსეთი) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:1 7:6; **აგნიეშკა რადვანსკა** (14, პოლონეთი) — მარტა დომაჩოვსკა (პოლონეთი) 6:1 6:3

გუშინ ნოვაკ ჯოკოვიჩი თითქოს წარსულში, სამი წლით უკან დაბრუნდა. სერბმა, რომელიც ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდა და რომელსაც უკვე წინასწარ ელოდნენ როჯერ ფედერერთან ნახევარფინალში, უკვე მეორე წრეში წააგო.

სამართლიანად იკითხავთ, წარსულში დაბრუნება რაღა შუაშიაო? საქმე კი იმაშია, რომ სერბი მარატ საფინს ხვდებოდა — გოლიათ რუსს ბალკანელი აქამდე ერთადერთხელ, სწორედ სამი წლის წინ, ავსტრალიაში შეხვდა და პირწმინდად მიიჩოგნა კიდეც. მაგრამ მაშინ ჯოკოვიჩი უწვერული ღლაპი იყო, რომელიც თავის პირველ სლემტურნირზე თამაშობდა, საფინი კი ჩოგბურთის ერთ-ერთი ბობოლა, რომელმაც ის ავსტრალია ბრწყინვალე სტილში მოიგო.

ამჯერად კი სრულიად საპირისპირო იყო ძალთა დისპოზიცია, სადაც საფინს ჩირის ფასადაც არავინ აგდებდა. მაგრამ გუშინ დრომ, თითქოს, მართლაც სამი წლით უკან გადაიწია, რადგანაც ჯოკოვიჩი სულაც არ ჩამოგავდა ფავორიტს — ის უფრო იმ უწვერულ ყმაწვილს ჰგავდა, რომელიც თავის პირველ გამოცდას აბარებდა უმაღლეს საჩოგბურთო დონეზე. სერბი არ აქტიურობდა, უამრავ შეცდომას უშვებდა, სადღაც გაქრა მისი კარგად ცნობილი სტაბილური მოწოდება და არაფერი გამოსდიოდა მიღებაზე. ნამატჩევს იტყვის კიდეც ჯოკოვიჩი:

„დღეს ვერაფერი გავაკეთე ისე, როგორც უნდა გამეკეთებინა. სამაგიეროდ, მარატმა ითამაშა დიდებულად“.

ძნელია, ნოვაკს არ დაეთანხმო — საფინს ასე გამართულად და, რაც მთავარია, სტაბილურად, აშკარა ჩავარდნების და ნერვოზის გარეშე, სწორედ იმ ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ არ უთამაშია. რუსი, რომელიც ორი წელია უფრო ჯახირობს, ვიდრე თამაშობს და რომელსაც ამ სეზონში მიჯრით ორ მატჩი მხოლოდ ორჯერ მოეგო, გუშინ ბრწყინვალედ თამაშობდა — როგორც იქნა, ამუშავდა სადღაც გამქრალი ყუმბარმტყორცნი და აკი თავის პირველ მოწოდებაზე მარატმა გათამაშებების 83 პროცენტი მოიგო.

არადა, ვერავინ იტყვის უიმბლდონი საფინის საყვარელი ტურნირიაო. თავის საუკეთესო წლებშიც კი მარატს ძალიან არ უყვარდა ლონდონში თამაში — ეს ერთადერთი სლემტურნირია, სადაც ის მეოთხეფინალზე შორს არ გასულა. მაგრამ ეტყობა, რუსს აშკარად წაადგა „როლან გაროსიდან“ ადრეული გავარდნა, რადგანაც ერთი თვეა, ინგლისში ვარჯიშობს და ამიტომაც ბალახზე თავს ისე კომფორტულად გრძნობს, როგორც არასდროს.

„ასე კარგად დიდი ხანია არ მითამაშია. სიმართლე გითხრათ, ეს ჩემთვის დიდი შვებაა, რადგანაც პირველ რიგში საკუთარ თავს დავუმტკიცე, რომ ისევ შემიძლია მაღალ დონეზე თამაში. მთელი წელია თავდაუზოგავად ვვარჯიშობ, მაგრამ შედეგი არ ჩანდა. ჰოდა, აგერ დღეს შრომა დამიფასდა. ვფიქრობ, ამ დონის თამაშით შორს გასვლა უნდა შევძლო“ — ძალიან ემოციური იყო ნამატჩევს საფინი.

ჯოკოვიჩის მიერ ტურნირის წინ ფედერერისთვის ნასროლი გამოწვევა კი ასე უსახელოდ დასრულდა — შეგახსენებთ, რომ სერბმა თქვა, როჯერი მოწყვლადია და ვეცდები, ეს პირადად დავამტკიცოო. თუმც ახალგაზრდა ბალკანელმა მაინც ვერ გაუძლო იმ წნეხს, რაც გამოვეთილ ფავორიტებს მუდმივად თან ახლავთ ხოლმე. ნოვაკს წლეულს ყველაფერი ძალიან იოლად გამოსდიოდა და ახლა დარწმუნდება, რომ ფედერერად და ნადალად ჩამოყალიბებას დრო სჭირდება. ირონიით არ ვამბობთ — ეს მარცხი სერბს წაადგება კიდეც, რადგანაც ციდან ისევ მიწაზე დააბრუნებს და თავიდან ამოუგდებს იმ ვარსკვლავური ავადმყოფობის ელემენტებს, რაც ბოლო ხანს შეენიშნება. თუ ის ნამდვილი პროფესიონალია და მართლაც დიდ ჩოგბურთელებას უმზინებს, ეს მარცხი ბიძგს მისცემს და აიძულებს, უკეთესი გახდეს, რაც მხოლოდ და მხოლოდ მასვე წაადგება.

ახლა კი გუშინდელი დღის სხვა მოვლენებს მივუბრუნდეთ.

დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ჯოკოვიჩის მარცხით ყველაზე მეტად როჯერ ფედერერმა გაიხარა, რადგანაც მას ამით ფინალისკენ გზა გაეხსნა. ალბათ შვეიცარიელი სწორედ ამაზე ფიქრობდა და ამიტომ ჩათვლიმა ცოტა ხნით რობინ სოდერლინგთან მატჩში, როცა მესამე სეტში შვედს 5:2 დაწინაურების საშუალება მისცა. თუმც ალპელმა პარტიის დათმობა მაინც იუარა და საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა, სადაც სკანდინავს უკვე შანსი აღარ მისცა.

ჯოკოვიჩის წაგებამ სრულიად გადაფარა ორი მცირე მოულოდნელობა — გუშინ ლონდონი დაატოვებინეს ფერნანდო გონსალესსა და ხუან-კარლოს ფერეროს. ამ უკანასკნელის წაგება არავის გაკვირვებია, რადგანაც ესპანელს უკვე წლებია, ხეირიანი არაფერი უქნია. თანაც თურმე ტრავმა ჰქონია და მიშა ზვერევთან სამი სეტიც კი ვერ გაძლო კორტზე.

აი, გონსალესი კი სიმონე ბოლელიმ დაიფრინა, თანაც სამი სეტი იტალიელმა ტაიბრეიკზე მოიგო, რაც ფრიად გასაკვირია — საჩოგბურთო ლატარიაში ხომ ჩვეულებრივ მეტი შანსი კლასით უფრო მაღალ მეჩოგნეებს აქვთ ხოლმე, მაგრამ აქ პირიქით მოხდა.

ადვილად იმარჯვა ლეიტონ ჰიუიტმა. ორი დღით ადრე ხუთსეტიან ბატალიას გადარჩენილმა ავსტრალიელმა ჭკუა ისწავლა და ალბერტ მონტანესს მალევე მოუთავა საქმე. ესპანელმა მხოლოდ ერთი სეტი გაძლო, შემდეგ კი ოზმა მეტოქე მარტივ მამრავლებად დაშალა.

შანსი იყო სერბების ისედაც სერიოზული დანაკლისი სულაც კატასტროფული გამხადარიყო, რადგანაც გუშინ სახლის გზას კინაღამ ანა ივანოვიჩიც გაუყოლეს. სერბმა ლამაზმანმა ნერვებიც დაიწყვიტა და ბლომად ძალებიც შეალია ნატალი დეშის. არადა, ეს ფრანგი ბევრს საერთოდ ჩამოწერილი ჰყავს და თუ საღმე გამოიჩენს ხოლმე თავს, მხოლოდ წყვილთა შორის. ამიტომაც ივანოვიჩს იოლ გასეირნებას უწინასწარმტეყველებდნენ, მაგრამ თავად სერბმა ყველაფერი გააკეთა საქმის მაქსიმალურად გასართულებლად. ანას პირველ სეტში დამაჯერებლად მიჰყავდა 5:2, მაგრამ იმდენი მოახერხა, რომ ტაიბრეიკზე წააგო.

აქ კი დეშის გული მოეცა და მსოფლიოს პირველ ჩოგანს აღარაფერი დაუთმო. საბოლოოდ ყველაფერი იქამდე მივიდა, რომ სერბს მეორე სეტში ორი მატჩ-პოინტის განეიტრალება მოუწია, აქედან ერთხელ აშკარად გაუმართლა, როცა ბურთი ბადეს შეეხო და მაინც მეტოქის ნახევარზე გადავარდა. ივანოვიჩს მესამე სეტშიც ძალიან გაუჭირდა უტეხი ფრანგის გამკლავება და მხოლოდ მეთვრამეტე გეიმში შეძლო გამარჯვების მომტანი ქულის აღება — საათანახევარში მოსამთავრებელს, ანამ ორი საათით მეტი მოანდომა.

„ბოლო ქულა რომ ავიღე, ცოტა ხანი ვერც ვიჯერებდი. მართლაც აღფრთოვანებული ვარ დღევანდელი მოგებით“ — მაინც კარგ ხასიათზე იყო ივანოვიჩი.

სამაგიეროდ, ადვილად იხეირა სერენა უილიამსმა. ურსულა რადვანსკამ ბოლომდე იომა, მაგრამ ახალგაზრდა პოლონელისთვის მაინც ადრეა ასეთ ბობოლებთან ჭიდილი.

მეორე თინეიჯერ ანასტასია პავლუჩენკოვას კი უფრო გაუმართლა, რადგანაც მას ნა ლისთან მოუწია დაჯახება. აქ რუსმა ამომავალმა ვარსკვლავმა კიდევ ერთხელ გამოაჩინა თავისი ნიჭი და ჩინელი ძალიან დამაჯერებლად დააჩოქა.

პირველ წრეში გვარიანი წაფორხილების შემდეგ, როცა კინაღამ ლონდონიდან გააპანღურეს, უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა სვეტლანა კუზნეცოვამ. არადა, კატერინა ბონდარენკოს სახით თითქოს უფრო ძლიერი მეტოქე ჰყავდა. თუმც ეს რუსი ხომ ხუშტურების ჩოგბურთელია — როდის რა წამოუვლის, არავინ იცის. ასე რომ, შანსია, უკვე მომდევნო წრეში გაუშვან ჩემოდნების ჩასალაგებლად.

ქაჯა ლომაშვილი

სპიცის დევნაში ფელპსი თევზად გადაიქცა


მაიკლ ფელპსი

თანამედროვეობის უძლიერესი მოცურავე, ამერიკელი მაიკლ ფელპსი თავის ეპოქაში ხომ ყველას ჯობნის და ათენის ოლიმპიადის შემდეგ მას წარსულთან გაჯიბრებაც თავის ყოველდღიურ საქმიანობად გაუხდია — ლეგენდარული თანამემამულის მარკ სპიცის რეკორდის დამხობაზე ფიქრში იძინებს და იღვიძებს, დანარჩენ დროს კი აუზში თავგადაკლულ ვარჯიშში ატარებს.

სპიცმა 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადაზე ცურვის შვიდ სახეობაში მოიგო ოქრო და მას მერე ამ რეკორდს არავინ შესწვდომია. ისევ ფელპსი მიუახლოვდა ოთხი წლის წინ, როცა ექვსი ოქრო და ორიც ბრინჯაო მოიპოვა, ახლა კი უფრო შორს გაცურვა ამოუჭრია გულში. მომავალ კვირაში ამერიკაში ცურვის ოლიმპიური გუნდის შესარჩევი ტურნირი იწყება და ფელპსიც იქ გადაწყვეტს, თუ რომელ სახეობებში გამოვა პეკინის ოლიმპიადაზე. ისე კი, ამ შიდა შესარჩევში ის ერთბაშად 9 ინდივიდუალურ და კიდევ რამდენიმე გუხდურ სახეობაში ანუ ესტაფეტაში გამოვა.

100, 200, 400 მეტრი თავისუფალი გაცურვები, 200, 400 კომპლექსური, 100, 200 გულაღმა, 100, 200 ბატერფლაი — აი ის 9 ინდივიდუალური სახეობა, რომლებშიც „ფელპიდო" ძალებს მოსინჯავს და ოლიმპიურ გეგმასაც უფრო მკაფიოდ მოხაზავს. ცხადია, პეკინში ის ყველა ამ დისციპლინაში ოქროს არ გამოეკიდება და ზოგს გაცხრილავს თავისი ისედაც გადატვირთული ოლიმპიური კალენდრიდან. ამდენს ფიზიკურად ვერც გასწვდება, რადგან თითო სახეობაში გასაცურია შესარჩევი, ნახევარფინალი და ფინალი, ამას დაამატეთ ესტაფეტური სახეობები. ასე რომ, მას ორ კვირაში ისედაც თითქმის 30 გაცურვაში მოუწევს მონაწილეობის მიღება.

ფელპსს ხელ-ფეხი აუწყო და ასევე მრავალ სახეობაში გადაწყვიტა ძალების მოსინჯვა ერთ-ერთმა უსწრაფესმა ქალმა მოცურავემ კეტი ჰოფმაც. ოლიმპიური გუნდის შესარჩევში ის 7 სახეობაში გამოვა და როგორც ამბობს, საპეკინოდ სულ ცოტა 5 სახეობაში წინასწარ მოინიშნავს მედალს. სათქმელია, რომ ახლა მხოლოდ 19 წლის ჰოფს უკვე აქვს ოლიმპიური გამოცდილება. სულ 15 წლისა იყო, წინა ოლიმპიადაზე რომ ჩავიდა და მართალია, ათენური წყლიდან მედალი ვერ ამოიღო, მაგრამ ყველას დაანახა, რომ ამერიკელებს კიდევ ერთი ქალთევზა ეზრდებათ.

ვანო კობიაშვილი

შავი ოლიმპიადა

პეკინის ოლიმპიადის დაწყებამდე ზუსტად თვენახევარი რჩება და შრომისმოყვარე ჩინელებს ინფრასტრუქტურა ფაქტობრივად მზად აქვთ, მაგრამ ყველაფრის იდეალურად მოწყობას მაინც ვერ ახერხებენ. ან კი რა უნდა მოხერხონ თითქმის ცხრამილიონიანი ინდუსტრიული გიგანტ-ქალაქის ათწლეულობის განმავლობაში დაბინძურებულ ჰაერს? ოლიმპიადისთვის დროებით ხომ ვერ გადადგამენ მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის ქარხნებს, ვთქვათ, ტიანცზინში?

არადა, ორგანიზატორებს მონაწილეთაგან სულ უფრო და უფრო მეტი შენიშვნების მიღება უწევთ. ერთ-ერთი ქვეყნის ოლიმპიური გუნდის ფუნქციონერმა ასეთი წინადადებაც წამოაყენა — ამ თამაშებს ფერი შევუცვალოთ და „მწვანის" მაგივრად „შავი ოლიმპიადა" ვუწოდოთო.

ბევრმა მარათონელმა უარი განაცხადა პეკინის ქუჩებში მჭვარტლით სავსე ჰაერის ყლაპვაში 42 კილომეტრის გარბენა და მათ შორისაა მარათონების რეკორდსმენი, ლეგენდარული ეთიოპი ჰაილე გებრსელასიე.

მძლეოსნებს განსაკუთრებით გაუჭირდებათ პეკინის ჰაერთან შეგუება. ცოტათი მაინც რომ შეეჩვიონ მძიმე ჰაერში ასპარეზობას, ავსტრალიელი და ახალზელანდიელი მძლეოსნები ჰონკონგსა და იაპონიაში გაივლიან ოლიმპიური სამზადისის ბოლო ორ კვირას, სადაც მთლად პეკინივით არა, მაგრამ მაინც საკმაოდაა ჰაერი დაბინძურებული და თანდათან შეეჩვევიან მანქანების გამონაბოლქვში სირბილს. კანადელებმა კი სამზადისის ბაზისად სინგაპური ირჩიეს. ამ ქვეყნების მძლეოსნები პეკინში მხოლოდ 15 აგვისტოს, უშუალოდ სამძლეოსნო შეჯიბრის დაწტქყების წინ ჩავლენ და ცხადია, ვერ იმონაწილეებენ გახსნის ცერემონიალში, რომელიც 8 აგვისტოს გაიმართება ახალადაშენებულ პეკინის ულამაზეს ოლიმპიურ სტადიონზე.

ვანო კობიაშვილი



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

ლუის ჰემილტონი

მარტინ უიტმარში: სანერვიულო არაფერია
ნიკი ლაუდა: მთავარია ემოციები

ზედიზედ ორი რბოლაა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, „მაკლარენ-მერსედესის" ინგლისელი პილოტი ლუის ჰემილტონი უქულოდ რჩება და ამ ორი რბოლის წინ გენერალური კლასიფიკაციის თავში მყოფი მეოთხე ადგილზე დაქვეითდა.

ჰემილტონის 25-რბოლიან კარიერაში ეს პირველი შემთხვევაა, რომ მიჯრით ორჯერ კინკილა ქულის გარეშე დარჩა და, თუ ზოგადად, ლუისის ასაკის მძღოლს მსგავსი რამ ეპატიება, „მაკლარენის" პირველ პილოტს ასეთი რამ არ ეკადრება.

„ხალხი ძალზე ბევრს ელის მისგან და ეს ნორმალურია. ფორმულა 1-ში გამარჯვება ურთულესი საქმეა და როდესაც ფავორიტი ხარ და მარცხდები, შენი ქომაგები გაწბილებულები რჩებიან — განაცხადა „მაკლარენის" მმართველმა დირექტორმა მარტინ უიტმარშმა და დაამატა — მანაც იცის და ჩვენც ვიცით, რომ ჯერჯერობით ბოლომდე კონკურენტუნარიანები არ ვართ, მაგრამ მაინც მაქსიმალური შედეგისთვის ვიბრძვით. ფრანგულ ეტაპამდე ლუისს მხოლოდ 24 საპირველფორმულო რბოლა ჰქონდა ჩატარებული, რომლებშიც იმდენი ქულა მოაგროვა, რამდენიც აღნიშნულ მონაკვეთში ფორმულა 1-ის ისტორიაში არავის მოუგროვებია. თუ ესეც ცუდია, მაშინ ვიტყვი, რომ ის ხალხი, ვინც ჰემილტონს აკრიტიკებს, სამართლიანა არ არის."

„მაკლარენ-მერსედესის" შეფის, რონ დენისის მარჯვენა ხელმა იქვე ბრძანა, რომ ვერ ხედავს პესიმიზმის მიზეზს: „ვფიქრობ, ლუისი ყოველთვის მზად არის საბრძოლველად. გასული სარბოლო უიქენდი მან ჯარიმით დაიწყო, შემდეგ მეორედაც დააჯარიმეს, მაგრამ ბოლომდე იბრძოლა და ფანტასტიკური სამუშაო ჩაატარა. მისი მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა იდეალურია. ის საკმაოდ ძლიერია საიმისოდ, რომ ეს ყველაფერი გადაიტანოს. თანაც, შემდეგი რბოლა სილვერსტოუნშია და იქ ლუისი განსაკუთრებით მოტივირებული იქნება. ჩემპიონატის ლიდერს ის მხოლოდ 10 ქულით ჩამორჩება და ამ სხვაობის აღმოფხვრა ერთ რბოლაში შეიძლება. მთავარია, ლუისს სწორედ ამის სწამდეს, ანუ ფიქრობდეს, რომ თუ დიდი ბრიტანეთის დიდ პრიზს მოიგებს, მაშინ ლიდერს დაეწევა.

ჰემილტონზე უზარმაზარი ზეწოლაა. ყველა მას უყურებს და მისი შეცდომა სხვებისაზე მეტად ჩანს. ჩვენ დიდი გუნდი ვართ, ლუისი დიდი პილოტია და ამიტომაც ჩვენთვის ქომაგების კრიტიკაც გასაგები და მისაღებია".

ლუის ჰემილტონის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ საკუთარი აზრი გამოთქვა სამეფო რბოლების ავსტრიელმა ლეგენდამ, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ნიკი ლაუდამაც. „ლუისმა უნდა იცოდეს, რომ, რაც არ უნდა დაიწეროს გაზეთებში რბოლის მეორე დღეს, ეს ვერ დაჩრდილავს იმ ფაქტს, რომ ის თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო პილოტია. მთავარია, მან იცოდეს საკუთარი ემოციების გაკონტროლება — არ უნდა აღფრთოვანდე, როდესაც რაღაც კარგად გამოგდის და არც დეპრესიაში უნდა ჩავარდე, თუ შეცდომებს დაუშვებ. ასეთ საკითხებში ვერავინ დაგეხმარება და ლუისმა უნდა შეძლოს მათი გადაწყვეტა" — ბრძანა ლეგენდარულმა ავსტრიელმა.

კახა ლომაძე

CSC-ის ცენტრში კარლოს სასტრეა



კარლოს სასტრე

ჩამთავრდა „დოფინი ლიბერე“ და „შვეიცარიის ტური“, სეზონის უმთავრესი რბოლის, „ტურ დე ფრანსისწინა“ შეჯიბრებები, თავად ფრანგული „ტურის“ დაწყებამდე კი თითებზე ჩამოსათვლელი დღეებიღა დარჩა და უპრესტიჟულესი სუპერრბოლის მონაწილე გუნდებმა იმ შემადგენლობების დასახელება დაიწყეს, რომლებითაც „დიდი მარყუჟის“ გზებს გაუყვებიან.

დანიური ველოგუნდი CSC „ტურის“ ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია. გუნდის გენერალურმა მენეჯერმა ბიარნე რიისმა ფრანგული სუპერრბოლა 1996 წელს მოიგო, შარშან კი აღიარა, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში დოპინგის მომხმარებელი იყო და „ტურ დე ფრანსის“ ორგანიზატორებმა მას ჩემპიონის წოდება ჩამოართვეს. ახლა რიისი, როგორც გენ-მენეჯერი, ისე ცდილობს „ველოსპორტის ოლიმპად“ წოდებული შეჯიბრის მოგებას და საამისოდ მას, მართლაც ზემძლავრი გუნდი ჰყავს.

CSC-ის ლიდერი ბოლო წლებში ესპანელი კარლოს სასტრეა და ახლაც ის იქნება დანიური ველოგუნდის პირველი ნომერი. თანაც წლეულს სასტრეს არნახულად ძლიერი თანაშემწეები ეყოლება — ლუქსემბურგელი ძმები ფრენკ და ენდი შლეკები, დანიელი ნიკი სორენსენი, გერმანელი იენს ფოიგტი, ნორვეგიელი კურტ-ასლე არვესენი, უკრაინელი ვლადიმერ გუსტოვი — ეს ხალხი ბოლო აღმართამდე ციმ-ციმ მიიყვანს სასტრეს და მერე თავად ესპანელმა იცოდეს და მისმა ბიჭობამ.

ეს გენერალური კლასიფიკაციისთვის ბრძოლაში და CSC არც სხვა ამპლუის ვარსკვლავების ნაკლებობას განიცდის — სპრინტერულ ეტაპზე თავის გამოჩენას ავსტრალიელი სტიუარტ ოგრეიდი შეეცდება, ვინც „ტურ დე ფრანსზე“ ოთხჯერ იყო მეორე ყველაზე აქტიური მრბოლისთვის განკუთვნილი მწვანე მაისურასთვის ბრძოლაში და ინდივიდუალური ეტაპებისთვის კი გუნდს შვეიცარიელი ფაბიენ კანცელარა ჰყავს, ამ სახეობაში მსოფლიოს ჩემპიონი და ორჯერ, 2004 და 2007 წლებში „ტურის“ პროლოგის მომგები კაცი.

აი, ასეთი მძლავრია დღევანდელი CSC და სადაც წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ ფავორიტების ჩამოთვლას დაიწყებენ, იქ კედელ ევანსის, დამიანო კუნეგოს, ალეხანდრო ვალვერდეს გვერდით კარლოს სასტრეც უნდა ახსენონ, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი გუნდის ლიდერია.

ალბერტო კონტადორი

კონტადორმა ოლიმპიადას ვუელტა ამჯობინა

„ტურ დე ფრანსის“ მოქმედი ჩემპიონი, ესპანელი ალბერტო კონტადორი შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვას რომ ვერ შეძლებს, ახალი ამბავი არ არის. კონტადორის გუნდი „ასტანა“ შარშანდელი დოპინგსკანდალების გამო წლევანდელ „ტურზე“ დაშვებული არ არის და ესპანელი ველოსიპედისტიც სხვა რამეებით ირთობს თავს.

გართობა დაუძახეთ და კონტადორმა, ფაქტობრივად მოუმზადებელმა მოახერხა „ჯირო დიტალიას“ ზოგება და შემდეგ ერთი პირობა ისიც თქვა, რადგანაც ფრანგულ სუპერრბოლაში ვერ გამოვალ, პეკინის ოლიმპიადისათვის მოვემზადები და ოლიმპიური ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებო.

ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ალბერტომ ოლიმპიურ ოქროზე ხელი აიღო და სეზონის ბოლო სუპერრბოლის, ესპანური „ვუელტასთვის“ მზადება გადაწყვიტა. „ვუელტას“ თუ მოვიგებ, ეს უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე ოლიმპიური მედალი. ამიტომაც გადავწყვიტე, მშობლიურ რბოლაში მივიღო მონაწილეობა და „ვუელტასთვის“ უკეთ მომზადების მიზნით ოლიმპიადაზე უარს ვამბობ“ — განაცხადა კონტადორმა, რომელიც „ვუელტაზე“ გამარჯვების შემთხვევაში გახდება პირველი ესპანელი და ველოსპორტის ისტორიაში კი ოდენ მეხუთე მრბოლი, ვისაც სამივე დიდი რბოლა მოუგია — „ტურიც“, „ჯიროც“ და „ვუელტაც“.

აქამდე მსგავსი რამ დიადებს — ფრანგ ჟაკ ანკეტილს, იტალიელ ფელიჩე ჯიმონდის, ბელგიელ ედი მერქსსა და კიდევ ერთ ფრანგ ბერნარ ინოს გაუკეთებიათ. და ერთიც — ისტორიამ ერთ სეზონში „ჯიროსა“ და „ვუელტას“ წყვილად მოგების ორად-ორი შემთხვევა იცის. 1973 წელს ეს დიადთა შორის უდიადესმა ედი მერქსმა მოახერხა, ხოლო 1981 წელს იტალიელმა ჯოვანი ბატაგლინიმ.

ნარინჯისფერი ბასკები

ბასკები, ეს არის ხალხი, რომელსაც სიგიჟემდე უყვარს ზოგადად ველოსპორტი და კერძოდ „ტურ დე ფრანსი“. ეს სიგიჟე განსაკუთრებით პირინეულ ეტაპებზე მჟღავნდება, როდესაც გველივით დაკლაკნილი სერპანტინების პირას ათასობის ქომაგი გამოიშლება ხოლმე ოფიციალურად აკრძალული ბასკური დროშებით.

ბასკები ამყობენ თავიანთი მრბოლებით. ერთი მიგელ ინდურაინი რად ღირს, მაგრამ თუნდაც იმავე ინდურაინზე მეტად, ბასკები თავიანთი ველოგუნდით, „ეუსკალტელით“ ამაყობენ.

„ეუსკალტელი“, ეს ერთგვარი ბილბაოს „ატლეტიკია“, ოღონდ არა ბურთით, არამედ ველოსიპედებით. „ეუსკალტელის“ ნარინჯისფერ მაისურას არაბასკი ვერ მოირგებს და რადგანაც ინდუარინი ვახსენეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ დონ მიგელმა თავისი ტიტულები სხვა ესპანური, არაბასკური გუნდის სახელით მოიპოვა და ამიტომაც ბასკების გულში ის „ეუსკალტელის“ მრბოლთა გვერდით ვერ დადგება.

დღესაც ასეა. საუკეთესო ბასკი მრბოლი ალეხანდრო ვალვერდე „კაის დეპარნის“ ღირსებას იცავს, ბასკები კი თავიანთ „ეუსკალტელს“ უქომაგებენ. „ნარინჯისფერთა“ ლიდერი 31 წლი აიმარ სუბელდია იქნება, ვისაც გვერდით შარშანდელი „ვუელტას“ მესამე პრიზიორი სამუელ სანჩესი და მიგელ ასტარლოა დაუდგებიან.

ამათ გარდა, „ეუსკალტელის“ განაცხადში რუბენ პერესი, გორკა ვარდუგო, ინაკი ისასი, ეგოი მარტინესი, ამეტს ტხურუკა და ხუანხო ოროზი არიან, თუმც არ არის გამორიცხული, რომელიმე მათგანის ადგილი იგორ ანტონმა დაიკავოს, რომელმაც ბრწყინვალედ ირბოლა ახლახან დასრულებულ „შვეიცარიის ტურზე“ და მესამე ადგილი დაიკავა.

ესპანური გუნდი იტალიური თავით

24 წლის იტალიელი რიკარდო რიკო წლევანდელ „ჯირო დიტალიაზე“ მეორე იყო ალბერტო კონტადორის შემდეგ და ახლა ის „ტურ დე ფრანსის“ გზებზე გაუძღვება ესპანური „სონი დიუვალის“ სხვა მრბოლებს.

ასეთ ასაკში მიყოლებით ორ სუპერრბოლაში გამოსვლა საკმაოდ სარისკო საქმეა, მაგრამ „სონი დიუვალის“ თავკაცებმა ასე გადაწყვიტეს და ალბათ სხვა გზა არც ჰქონდათ, რადგანაც გუნდის მეორე ლიდერი, ესპანელი ხოსე ანხელ გომეს მარჩანტე ავადმყოფობის გამო „ტურზე“ გამოსვლას ვერ ახერხებს.

რიკო უნიჭიერესი მრბოლია, მაგრამ, სავარაუდოდ, მას მართლა გაუჭირდება ზედიზედ მეორე სამკვირიანი კოშმარის გაძლება. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ იტალიელის გვერდით მრავალნაცადი ხალხი იქნება, განსაკუთრებით ისეთები, ვისაც მთებში რბოლა ეხერხებათ და ამათ შორის კიდევ ერთი იტალიელი, ვეტერანი ლეონარდო პიეპოლი უნდა გამოვყოთ.

ორი იტალიელის გარდა, „სონი დიუვალის“ განაცხადში ექვსი ესპანელია — ხუან კობო, დავიდ დელა ფუენტე, ხოსეპ ხუფრე, ალბერტო ფერნანდესი, ხესუს დელ ნერო და ანხელ „ლიტუ“ გომესი. მეცხრე მრბოლს „სონი დიუვალის“ თავკაცები კიდევ ერთი ესპანელის რუბენ ლობატოს, ფრანგი აურელიენ პასერონისა და შვეიცარიელი რუბენს ბერტოგლიატის სამეულიდან აირჩევენ.

რიკარდო რიკო

ახალი გერმანელები

მას შემდეგ, რაც გახმაურებული დოპინგსკანდალების „წყალობით“ ბოლო წლების ერთ-ერთმა უძლიერესმა ველოგუნდმა „T-მობაილმა“ არსებობა შეწყვიტა, გერმანული ველოსპორტის ფლაგმანად „გეროლშტაინერი“ იქცა და ამ გუნდს მართლა შესწევს იმის ძალა, საკმაოდ მაღლა რომ აღმართოს გერმანული ველოდროშა.

არა, წლეულს „გეროლშტაინერი“ ნამდვილად ვერ იბრძოლებს „ტურის“ ყვითელი მაისურასთვის, მაგრამ მოწინავეთა შორის ყოფნა და ეტაპების მოგება, ამ გუნდის მრბოლებს, უკვე ახლაც შეუძლიათ.

„გეროლშტაინერის“ სატურდეფრანსო განაცხადში შვიდი გერმანელია — რობერტ ფიორსტერი, მარკუს ფოტენი, სვენ კრაუსი, სებასტიან ლანგი, რონი შოლცი, შტეფან შუმახერი და ფაბიან ვეგმანი, რომელთა კომპანიაში ავსტრიელი ბერნარდ კოლი და შვეიცარიელი ოლივერ ცაუგი თავს უცხოდ ნამდვილად არ იგრძნობენ, თუნდაც ენობრივი ბარიერის არარსებობის გამო.

გუნდის ლიდერი 27 წლის ფოტენი იქნება, ვინც უკვე მზად კი არის დიდი გამარჯვებებისთვის, მაგრამ, როგორც ვთქვით, წლეულს მას ყვითელი მაისურასთვის ბრძოლა გაუჭირდება.

მთებში ფოტენს კოლის იმედი ექნება, სპრინტერულ ეტაპებზე ფიორსტერი შეეცდება თავის გამოჩენას და უნივერსალი შუმახერისგან კი, რომელმაც შარშან „ამსტელ გოლდის“ ერთდღიანი კლასიკური რბოლა მოიგო, ნებისმიერი სიურპრიზია მოსალოდნელი.

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		27 ივნისი						
21:00	481	ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი	2.80	3.40	2.40	1.53	1.29	1.40
		28 ივნისი						
20:00	478	ლინი-ვიკინგი	2.25	3.40	2.90	1.35	1.26	1.56
20:00	480	სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი	2.35	3.40	2.75	1.38	1.26	1.52
20:00	482	ჰამ კამი-ბრანი	3.50	3.40	2.00	1.72	1.27	1.25
22:00	483	ალესუნდი-მოლდე	2.35	3.40	2.75	1.38	1.26	1.52
20:00	484	სტაბეკი-ტრომსიო	1.60	3.70	5.10	1.11	1.21	2.14
		30 ივნისი						
21:00	479	ფრედრიკსტადი-ვოლერენგა	2.25	3.40	2.90	1.35	1.26	1.56
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		28 ივნისი						
17:00	492	ბრინი-სტარტი	2.55	3.40	2.50	1.45	1.26	1.44
		29 ივნისი						
20:00	485	მოსი-ალტა	1.35	4.40	7.50	1.03	1.14	2.77
20:00	487	ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი	2.10	3.40	3.10	1.29	1.25	1.62
20:00	488	სანდნესი-სპარტა ს	2.15	3.40	2.90	1.31	1.23	1.56
20:00	489	სანდეფიორდი-კონგსვინგერი	1.70	3.60	4.30	1.15	1.21	1.95
20:00	490	სოგნდალი-ჰიონეფოსი	2.35	3.40	2.60	1.38	1.23	1.47
20:00	491	ნოტოდენი-ჰიოდი	1.60	3.70	5.00	1.11	1.21	2.12
		ფინეთი. ვაიკაუსლიგა						
		26 ივნისი						
19:30	577	მიუპა-კტპ	1.35	4.40	8.00	1.03	1.15	2.83
19:30	578	იარო-ჰიკ	3.80	3.30	1.90	1.76	1.26	1.20
19:30	579	როვანიემი-ლაჰტი	2.55	3.20	2.55	1.41	1.27	1.41
19:30	580	ტამპერე-კუოპიო	1.35	4.20	8.00	1.02	1.15	2.75
19:30	581	მარიეჰამნი-ინტერი	2.65	3.20	2.50	1.44	1.28	1.40
19:30	582	ჰონკა-ვპს	1.55	3.70	5.80	1.09	1.22	2.25
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი						
		26 ივნისი						
01:00	593	ფილკირი-გრინდავიკი	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
		აშშ. MLS						
		27 ივნისი						
05:00	617	ჰიუსტონი-დალასი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
		UEFA. ევროპის ჩემპიონატი 2008						
		26 ივნისი						
22:45	30	ესპანეთი-რუსეთი	2.10	3.30	3.40	1.28	1.29	1.67
		ფრენბურთი. ქალები. მსოფლიო გრან პრი. ვიეტნამი						
		27 ივნისი						
11:00	668	ბრაზილია-ყაზახეთი	1.01	12.00				
13:30	669	გერმანია-თურქეთი	1.50	2.10				
		ფრენბურთი. ქალები. მსოფლიო გრან პრი. ჰონ კონგი						
		27 ივნისი						
13:00	670	იტალია-იაპონია	1.12	4.00				
16:00	671	ჩინეთი-კუბა	1.50	2.10				
		ფრენბურთი. ქალები. მსოფლიო გრან პრი. პოლონეთი						
		27 ივნისი						
19:30	672	პოლონეთი-დომენიკ. რესპ	1.25	3.00				
22:00	673	აშშ-ტაილანდი	1.04	6.00				

რომელი ფეხბურთელი გაიტანს გოლს

38030	ესპანეთი-რუსეთი	პავლიუჩენკო	2.50
38030	ესპანეთი-რუსეთი	დ ვილია	2.20
38030	ესპანეთი-რუსეთი	ფ ტორესი	2.30
38030	ესპანეთი-რუსეთი	დ სილვა	3.70
38030	ესპანეთი-რუსეთი	ჟირკოვი	6.50
38030	ესპანეთი-რუსეთი	ს რამოსი	7.50
38030	ესპანეთი-რუსეთი	სემაკი	6.00
38030	ესპანეთი-რუსეთი	არშავინი	2.90
38030	ესპანეთი-რუსეთი	კ ზირიანოვი	5.00
38030	ესპანეთი-რუსეთი	ე ხავი	5.50

რომელ ტაიმში იძნება მეტი კუთხური(ძირ. დრო)

		I-ში	თანაბრად	II-ში
40030	ესპანეთი-რუსეთი	2.10	4.00	1.80

ვინ მიიღებს პირველ ყ ან წ ბარათს (ძირ. დრო)

		1	2
33030	ესპანეთი-რუსეთი	1.90	1.80

პირველ ტაიმში გატანილი გოლების რაოდენობა

		ნაკ.	მეტ.
22030	ესპანეთი-რუსეთი	1,5	1.30	2.90

ყვითელი ბარათების რაოდენობა (ძირ. დრო)

		ნაკ.	მეტ.
34030	ესპანეთი-რუსეთი	5,5	1.70	1.80

პირველი გოლი 0-29/ 30-90 (ძირ. დრო)

		1	2
35030	ესპანეთი-რუსეთი	1.90	1.90

პირველი ტაიმი ფრეს გარეშე

		კი	არა
23030	ესპანეთი-რუსეთი	1.25	1.80

ვინ დაიწყებს თამაშს

		1	2
31030	ესპანეთი-რუსეთი	1.90	1.90

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო)

		ნაკ.	მეტ.
20030	ესპანეთი-რუსეთი	11,5	1.80	1.80

თამაშგარე მდგომარეობა (ძირ. დრო)

		ნაკ.	მეტ.
36030	ესპანეთი-რუსეთი	5,5	1.90	1.70

იძნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

		კი	არა
21030	ესპანეთი-რუსეთი	3.00	1.20

პირველ ტაიმში კუთხურების რაოდენობა

		ნაკ.	მეტ.
24030	ესპანეთი-რუსეთი	5,5	1.70	1.80

ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

		1	2
32030	ესპანეთი-რუსეთი	1.80	1.80

გოლი გავა კომპენსირებულ დროში

39030	ესპანეთი-რუსეთი	კი	3.10

გაიტანს თუ არა შეცვლაზე შემოსული გოლს(ძირ დრო)

49030	ესპანეთი-რუსეთი	კი	3.00

პირველ ტაიმში იძნება შეცვლა

43030	ესპანეთი-რუსეთი	კი	3.50

რომელი გუნდი გავა ფინალში

		1	2
18030	ესპანეთი-რუსეთი	1.70	1.90

იძნება გაძევება(ძირ. დრო)

37030	ესპანეთი-რუსეთი	კი	3.30

II ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
19030	ესპანეთი-რუსეთი	2.50	2.40	2.90	1.22	1.34	1.31

შესაძლო ცვლილებები დაიზუსტეთ ადგილზე

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10030	ესპანეთი-რუსეთი	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28
10478	ლინი-ვიკინგი	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10481	ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი	3.20	2.00	2.75	1.23	1.47	1.15
10480	სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10482	ჰამ კამი-ბრანი	3.90	2.00	2.25	1.32	1.42	1.05
10483	ალესუნდი-მოლდე	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10484	სტაბეკი-ტრომსიო	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55
10492	ბრინი-სტარტი	3.00	2.00	2.95	1.20	1.48	1.19
10485	მოსი-ალტა	1.65	2.30	6.80	1.00	1.32	1.71
10487	ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28
10488	სანდნესი-სპარტა ს	2.55	2.00	3.55	1.12	1.48	1.27
10489	სანდეფიორდი-კონგსვინგერი	2.10	2.10	4.85	1.04	1.46	1.46
10490	სოგნდალი-ჰიონეფოსი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10491	ნოტოდენი-ჰიოდი	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55
10479	ფრედრიკსტადი-ვოლერენგა	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11030	ესპანეთი-რუსეთი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11478	ლინი-ვიკინგი	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11481	ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11480	სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11482	ჰამ კამი-ბრანი	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11483	ალესუნდი-მოლდე	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11484	სტაბეკი-ტრომსიო	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11492	ბრინი-სტარტი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11485	მოსი-ალტა	1.70	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11487	ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11488	სანდნესი-სპარტა ს	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11489	სანდეფიორდი-კონგსვინგერი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11490	სოგნდალი-ჰიონეფოსი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11491	ნოტოდენი-ჰიოდი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11479	ფრედრიკსტადი-ვოლერენგა	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60

გოლი:ყვავილი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება ყვავილად)

17030	ესპანეთი-რუსეთი	1.85	1.95
17478	ლინი-ვიკინგი	1.85	1.95
17481	ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი	1.85	1.95
17480	სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი	1.85	1.95
17482	ჰამ კამი-ბრანი	1.85	1.95
17483	ალესუნდი-მოლდე	1.85	1.95
17484	სტაბეკი-ტრომსიო	1.85	1.95
17492	ბრინი-სტარტი	1.85	1.95
17485	მოსი-ალტა	1.85	1.95
17487	ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი	1.85	1.95
17488	სანდნესი-სპარტა ს	1.85	1.95
17489	სანდეფიორდი-კონგსვინგერი	1.85	1.95
17490	სოგნდალი-ჰიონეფოსი	1.85	1.95
17491	ნოტოდენი-ჰიოდი	1.85	1.95
17479	ფრედრიკსტადი-ვოლერენგა	1.85	1.95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჭაგებულად ჩაითვლება)

14030	ესპანეთი-რუსეთი	1.75	2.10
14478	ლინი-ვიკინგი	1.80	2.00
14481	ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი	1.95	1.85
14480	სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი	1.80	2.00
14482	ჰამ კამი-ბრანი	2.20	1.70
14483	ალესუნდი-მოლდე	1.80	2.00
14484	სტაბეკი-ტრომსიო	1.30	2.50
14492	ბრინი-სტარტი	1.95	1.85
14485	მოსი-ალტა	1.20	2.60
14487	ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი	1.75	2.10
14488	სანდნესი-სპარტა ს	1.75	2.10
14489	სანდეფიორდი-კონგსვინგერი	1.45	2.40
14490	სოგნდალი-ჰიონეფოსი	1.80	2.00
14491	ნოტოდენი-ჰიოდი	1.30	2.50
14479	ფრედრიკსტადი-ვოლერენგა	1.80	2.00

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15030	ესპანეთი-რუსეთი	3.00	2.80	2.00
15478	ლინი-ვიკინგი	3.00	2.80	2.00
15481	ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი	3.00	2.80	2.00
15480	სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი	3.00	2.80	2.00
15482	ჰამ კამი-ბრანი	3.00	2.80	2.00
15483	ალესუნდი-მოლდე	3.00	2.80	2.00
15484	სტაბეკი-ტრომსიო	3.00	2.80	2.00
15492	ბრინი-სტარტი	3.00	2.80	2.00
15485	მოსი-ალტა	3.00	2.80	2.00
15487	ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი	3.00	2.80	2.00
15488	სანდნესი-სპარტა ს	3.00	2.80	2.00
15489	სანდეფიორდი-კონგსვინგერი	3.00	2.80	2.00
15490	სოგნდალი-ჰიონეფოსი	3.00	2.80	2.00
15491	ნოტოდენი-ჰიოდი	3.00	2.80	2.00
15479	ფრედრიკსტადი-ვოლერენგა	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16030	ესპანეთი-რუსეთი	1.50	2.30
16478	ლინი-ვიკინგი	1.58	2.10
16481	ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი	1.95	1.65
16480	სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი	1.65	2.05
16482	ჰამ კამი-ბრანი	2.40	1.45
16483	ალესუნდი-მოლდე	1.65	2.05
16484	სტაბეკი-ტრომსიო	1.22	3.40
16492	ბრინი-სტარტი	1.80	1.85
16485	მოსი-ალტა	1.10	5.50
16487	ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი	1.50	2.30
16488	სანდნესი-სპარტა ს	1.52	2.20
16489	სანდეფიორდი-კონგსვინგერი	1.24	3.60
16490	სოგნდალი-ჰიონეფოსი	1.65	2.05
16491	ნოტოდენი-ჰიოდი	1.22	3.40
16479	ფრედრიკსტადი-ვოლერენგა	1.58	2.10

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

			ნაკ.	მეტ.
12030	ესპანეთი-რუსეთი	2,5	1.70	1.90
12481	ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი	2,5	2.00	1.60
12478	ლინი-ვიკინგი	2,5	2.00	1.60
12480	სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი	2,5	1.80	1.70
12482	ჰამ კამი-ბრანი	2,5	2.00	1.60
12483	ალესუნდი-მოლდე	2,5	2.00	1.60
12484	სტაბეკი-ტრომსიო	2,5	1.90	1.70
12492	ბრინი-სტარტი	2,5	2.10	1.60
12485	მოსი-ალტა	2,5	2.40	1.35
12487	ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი	2,5	2.00	1.60
12488	სანდნესი-სპარტა ს	2,5	1.90	1.70
12489	სანდეფიორდი-კონგსვინგერი	2,5	2.00	1.60
12490	სოგნდალი-ჰიონეფოსი	2,5	1.80	1.80
12479	ფრედრიკსტადი-ვოლერენგა	2,5	1.90	1.70

ზუსტი ანგარიში

47030	ესპანეთი-რუსეთი	0:3	25.00
47030	ესპანეთი-რუსეთი	1:1	7.00
47030	ესპანეთი-რუსეთი	3:2	25.00
47030	ესპანეთი-რუსეთი	1:3	20.00
47030	ესპანეთი-რუსეთი	0:1	8.00
47030	ესპანეთი-რუსეთი	1:2	7.50
47030	ესპანეთი-რუსეთი	0:2	10.00
47030	ესპანეთი-რუსეთი	2:2	12.00
47030	ესპანეთი-რუსეთი	0:0	8.00
47030	ესპანეთი-რუსეთი	3:1	12.00
47030	ესპანეთი-რუსეთი	3:0	18.00
47030	ესპანეთი-რუსეთი	2:1	6.00
47030	ესპანეთი-რუსეთი	2:0	6.00
47030	ესპანეთი-რუსეთი	1:0	6.50
47030	ესპანეთი-რუსეთი	2:3	26.00

ლივერპულში სტადიონის შენება დაიწყო



ინგლისური „ლივერპული“ ახალი სტადიონის აშენებას იწყებს. მერსისაიდელებმა ქალაქის მმართველთაგან მშენებლობის დაწყების ნებართვა 19 ივნისს მიიღეს და 23 ივნისიდან აქტიურად შეუდგნენ საქმეს.

ახალი სტადიონის მშენებლობის დასრულება 2011 წლის ზაფხულისთვის იგეგმება და მასზე 73 ათასი მაყურებელი დაეტევა. აქედან დასავდომი ადგილი 60 ათასი იქნება.

„ეს ძალიან სასიხარულო და კარგი ამბავია. ბოლო ექვსი თვის განმავლობაში თავდაუზოგავად ვიმუშავეთ, რათა ეს უმნიშვნელოვანესი პროექტი წინ წაგვეწია და ასევე გავაგრძელებთ. უშუალოდ სტადიონის პროექტიც ძალიან კარგია. მასში გათვალისწინებულია „კოპი“, რომელიც 18 ათას ადამიანს დაიტევს. ასე რომ, იმედი გვაქვს, ჩვენს ახალ სტადიონზე ისეთივე საოცარი ატმოსფერო იქნება, როგორიც „ენფილდზეა“ — აღნიშნა კლუბის ერთ-ერთმა თავმჯდომარემ ჯორჯ ჯილეტმა.

პარალელურად, „ლივერპულმა“ უარი უთხრა „პორტსმუთს“ პიტერ კრაუჩის ტრანსფერზე. „პომპეის“ აყლაყუდა ფორვარდის ხელში ჩაგდება 9 მილიონ გირვანქად სურდა, მაგრამ მერსისაიდელები ამ თანხამ არ დააკმაყოფილა. შეგახსენებთ, რომ კრაუჩი „ლივერპულში“ 2005 წლის ზაფხულში „საუთჰემპტონიდან“ 7 მილიონ გირვანქად გადავიდა. სხვათა შორის, „საუთჰემპტონში“ მას „პორტსმუთის“ ამჟამინდელ მწვრთნელ ჰარი რედნაპთან ერთად უმუშავია.

ამბობენ, „პორტსმუთი“ ახალ წინადადებას გაამზადებსო. ოღონდ, „პომპეი“ თანხის გაზრდას არ აპირებს, ფულთან ერთად „ლივერპულს“ რომელიმე თავის მოთამაშეს შესთავაზებსო.

ძოძი კანდელაკი

პორტუგალიას ფიგუს ჩააბარებენ?

შესაძლოა, პორტუგალიის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი ლუიშ ფიგუ გახდეს. ეს მოულოდნელი და სენსაციური ინფორმაცია ცნობილმა ტელეჟურნალისტმა და ფეხბურთის სპეციალისტმა მარსელუ რებელუ დე სოუზამ გაავრცელა, პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის მმართველის ჟილბერტუ მადაილისგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით.

შეგახსენებთ, რომ „ჩელსიში“ წასული სკოლარის შეცვლის ორი მთავარი კანდიდატი იყო: „მანჩესტერ იუნაიტედში“ სერ ალექს ფერგიუსონის თანაშემწედ მომუშავე კარლუშ კეირუში და ბრაზილიელი ზიკო, რომელიც „ფენერბაჰჩეს“ თავკაცობს. თუმცა, შესაძლოა, ისინი განზე დარჩნენ და პორტუგალია ფიგუმ ჩაიბაროს, რომელიც ჯერაც „ინტერის“ ფეხბურთელია.

„პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მითხრა, რომ სიურპრიზს ამზადებს და ფიგუზე ვიფიქრე. მადაილის თქმით, მის კანდიდატს სამწვრთნელო გამოცდილება ფაქტობრივად არ აქვს. თუმცა, როგორც ფეხბურთელი, ჩინებული კარიერისა და ბიოგრაფიის პატრონია და ჯერაც მოთამაშეა...“ — განაცხადა დე სოუზამ.

ეჭვი შეგვიძლია პედრუ პაულეტაზეც მივიტანოთ, ვინაც სათამაშო კარიერა რამდენიმე დღის წინ დასრულა.

გიორგი ძაძაბაძე

კოლერი კრილიაში



ჩეხი ფორვარდი იან კოლერი კარიერას რუსულ „კრილია სოვეტოვში“ გააგრძელებს. ეს ინფორმაცია სამარელთა პრეზიდენტმა იგორ ზავიალოვმა ოფიციალურად დაადასტურა.

202-სანტიმეტრიანი და 99-კილოიანი „კეთილი გიგინატი“ „კრილიაში“ გერმანული „ნიურნბერგიდან“ გადავიდა. გავრცელებული ცნობით, კოლერმა თავის ახალ კლუბთან წლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა და ტრანსფერი ერთი მილიონი ევრო დაჯდა.

კოლერი ასევე თამაშობდა „დორტმუნდში“, ბელგიურ „ლოკერენსა“ და „ანდერლეხტში“, ფრანგულ „მონაკოში“ და ჩეხურ „სპარტაში“. გასულ სეზონში იგი „ნიურნბერგს“ 14 მატჩში გატანილი 2 გოლით შეეწია. მოგეხსენებათ, კლუბი ბუნდესლიგიდან გავარდა.

35 წლის კოლერს კარიერის განმავლობაში მრავალი ტიტული და პირადი ჯილდო აქვს მოპოვებული. მათ შორის საინტერესო და განსაკუთრებული ერთია — 2002-2003 წლების სეზონის ერთ-ერთ ტურში საუკეთესო მეკარედ დაასახელეს. საქმე ის არის, რომ „ბაიერნთან“ მატჩში „დორტმუნდს“ მეკარე გაუძევეს, სამივე ცვლილება უკვე გამოყენებული იყო, და კარში კოლერი ჩადგა. თამაშის დასრულებამდე მას გოლი არ გაუშვია. მეტიც, მიხაელ ბალაკსა და სხვებს რამდენიმე რთული ბურთი აუღო. შეგახსენებთ, რომ ევრო 2008-ზე მან სამი მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა.

ძოძი კანდელაკი

გუისა ფენერბაჰჩეში გადავიდა

ესპანეთის ნაკრების ფორვარდი დანიელ გუისა, რომელმაც „მალიორკას“ მაისურით გასულ სეზონში 27 გოლი გაიტანა და პრიმერადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, კარიერას თურქულ „ფენერბაჰჩეში“ გააგრძელებს. ესპანური „მარკას“ ცნობით, მან სტამბოლელებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და სეზონში 3 მილიონ ევროს, პლუს ბონუსებს მიიღებს. „მალიორკამ“ კი მის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო მიიღო.

სენას იუვეში უნდა

ტურინის „იუვენტუსმა“, შესაძლოა, ესპანეთის ნაკრებისა და „ვილიარეალის“ ნახევარმცველი მარკოს სენა იყიდოს.

„საიდუმლო არ არის, რომ სენას „იუვენტუსში“ თამაში უნდა და ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს ტურინელთა მწვრთნელ კლაუდიო რანიერისთან. ჩვენ ერთმანეთს ერთი თვის წინ ველაპარაკეთ და მას მერე სიახლეს ველოდებით“ — თქვა სენას აგენტმა ხოსე მანუელ ბუტრაგენიოსმა.

პარალელურად, „ბებერი ქალბატონი“ „სიენას“ მცველ სიმონე ლორიას უტრიალებს, რომლითაც „რომაცაა“ დაინტერესებული.

გამოსყიდული ბრიენცა

„რეჯინამ“ „პალერმოსგან“ ფრანკო ბრიენცა გამოისყიდა. შემტევი ნახევარმცველი იანვრის მერე რეჯოკალაბრიელთა რიგებში იჯარის წესით თამაშობდა, მან შვიდი გოლი გაიტანა და მრავალი საგოლე პასი მიითვალა, რითაც ლომის წვლილი დაიდო „რეჯინას“ უმაღლეს ლიგაში დარჩენაში. ახლა რეჯოკალაბრიელები „მილანისგან“ ახალგაზრდა ალბერტო პალოსკის თხოვებას ლამობენ.

ვანდენ ბორე ჯენოაშია

იტალიურმა „ჯენოამ“ ანტონი ვანდენ ბორეს კონტრაქტი სრულად გამოისყიდა ფლორენციის „ფიორენტინასგან“ და კონგოში დაბადებული 20 წლის ნიჭიერი ბელგიელი ახლა გენუელთა საკუთრებაა. ეს და „იუვენტუსიდან“ რაფაელე პალადინოს გადმოყვანის ამბავი „ჯენოას“ პრეზიდენტმა ენრიკო პრეციოზიმ სიხარულით ამცნო ფანებს.

ობინია წავა, კაჩა მოვა?

სერია A-ში დაბრუნებული „კიევო“ თავის ნიგერიელ ლიდერს ვიქტორ ობინიას ალბათ ვერ შეინარჩუნებს, მისი შეძენა არაერთ ევროპულ გრანდს სურს. ამიტომ, ვერონელები უკვე ობინიას შემცვლელზე ფიქრობენ და მიზანში ფიორენტინელი დანიელე კაჩა ამოუღიათ.

გლები 24 მილიონად

ალექსანდრ გლებს ლონდონის „არსენალიდან“ წასვლა რომ უნდა, მრავალჯერ უთქვამს და „მეთოფეებიც“ მისთვის კლუბს ეძებენ, თან ისე, რომ მაქსიმალური ფინანსური სარგებელი დარჩეთ. ბოლო ინფორმაციით, „არსენალმა“ ბელარუს ნახევარმცველში მიუნხენის „ბაიერნს“ 24 მილიონი ევრო მოსთხოვა. შეგახსენებთ, რომ გასულ ზაფხულს „ბაიერნმა“ 25 მილიონ ევროდ ფრანკ რიბერი იყიდა და ეს კლუბის ისტორიაში უძვირფასესი ტრანსფერია.

ბარსას ტრეზეგე არ გამოსდის

კატალონიურ „ბარხელონას“ კვლავ არაფერი გამოსდის დავიდ ტრეზეგესთან მიმართებაში და ფრანგი ფორვარდის ალბათ საბოლოოდ დავიწყება მოუწევს.

„ტურინელებს მისი გაშვება გაუჭირდებათ, ეს ფაქტობრივად არც სურთ და არა მგონია, 25 მილიონ გირვანქაზე ნაკლებად შეელიონ. „ბარსელონა“ კი ამდენის გადახდას მგონი არ აპირებს. თან თავად დავიდს „იუვენტუსში“ სურს დარჩენა“ — თქვა ტრეზეგეს აგენტმა ანტონიო კალიენდომ.

ლევერკუზენიდან ბოლესლავში

23 წლის ფორვარდი მიხალ პაპადოპულოსი გერმანული „ლევერკუზენიდან“ ჩეხურ „მლადა ბოლესლავში“ გადავიდა. იგი „ფარმაცევტებში“ 2005 წელს „ბანიკიდან“ გადაბარგდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა. გასულ სეზონში პაპადოპულოსი „კოტბუსში“ იყო განათხოვრებული. ბუნდესლიგაში მან 33 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

ინტერს კარლოს ალბერტო უნდა

მილანის „ინტერს“ ბრემენის „ვერდერის“ ბრაზილიელი ნახევარმცველის კარლოს ალბერტოსთვის დაუდგამს თვალი. 23 წლის ფეხბურთელი ამჟამად „ბოტაფოგუშია“ განათხოვრებული. მისი შეძენა „ნერაძურის“ ახალ მწვრთნელს ჟოზე მაურინიუს პირადად მოუსურვებია. პორტუგალიელ სპეციალისტსა და კარლოს ალბერტოს ერთად „პორტუში“ უმუშავიათ.

ფოჯა კალიარიში რჩება

პასკუალე ფოჯა მომავალ სეზონს „კალიარიში“ გაატარებს. თითქოსდა, „ლაციოს“ მისი დაბრუნება უნდოდა, მაგრამ რომაელთა პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება დაახანა და მისმა სარდინიელმა კოლეგამ მასიმო ჩელინომაც, წესების სრული დაცვით, ფეხბურთელთან იჯარის ვადა გაახანგრძლივა.

ძოძი კანდელაკი

გენიალური მტერი

პოლ ინსის ჯერ არ შემდგარი კარიერა

პოლ ინსი მაინც „ბლექბერნის“ მწვრთნელია. მართალია, „პრო“ ლიცენზიის არქონის გამო კინაღამ დაიწუნეს (რაზეც მისმა ძველმა თანაკრებელმა, იან რაიტმა საგაზეთო სვეტში განაცხადა, რახანია, კარგი ანეკდოტი აღარ მომისმენიაო), მაგრამ, როგორც ძველები იტყოდნენ, „კინაღამ გრამოფონშია“ — „მანჩესტერ იუნაიტედის“, „ინტერისა“ და „ლივერპულის“ ყოფილი ბურჯი-ნახევარმცველი უკვე ხელებს იკაპიწებს და თავის ყოფილ შეფს, ლეგენდარულ ალექს ფერგიუსონს ეტოლება. ცნობისათვის: ინსი ფერგიუსონის ხელმძღვანელობით ექვს წელიწადს თამაშობდა.

საინტერესო ფაქტია, რომ სერ ალექსი, როგორც მწვრთნელი, პრემიერლიგის ახალ სეზონში უკვე თავის ოთხ ყოფილ ფეხბურთელს დაუპირისპირდება: ინსს, „მანჩესტერ სიტის“ მარკ ჰიუზს, „სანდერლენდის“ როი კინსა და „უიგანის“ სტივ ბრიუსს.

ინსის ოცნება კი „ბლექბერნზე“ არ ჩერდება და... თქვენ გგონიათ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცობამდე მიდის? არა, „ინტერის“ სათადარიგოთა სკამთან ტრიალებს.

„ყველაფერი, რაც ფეხბურთელობის დროს სერ ალექსისგან ვისწავლე, თვით სერ ალექსის მასშტაბისაა. აი, ეს არის, რისი თქმაც ჩემს ყოფილ თავკაცზე შემიძლია. ხასიათი, ხალხის არჩევის უნარი და პრინციპები, თანამოაზრეთა გუნდის შეკვრის ნიჭი და აურა, რომელსაც თავის გარშემო ქმნის — არა, ჯობს, მეტი აღარ ვილაპარაკო, თორემ საიდუმლოებებს გავთქვამ. ის ფანტასტიკური მწვრთნელია და სულაც არ არის შემთხვევითი, მის ყოფილ ფეხბურთელთაგან ამდენი რომ მუშაობს პრემიერლიგაში.

მერწმუნეთ, მე სხვა გუნდებშიც მითამაშია და იქაურ მწვრთნელთა სტანდარტებიც მინახავს — ფერგიუსონისას ვერ შეედრებოდა. იმედი მაქვს, ჩემს სამწვრთელო კარიერაშიც სერ ალექსის დარ სტანდარტებს დავნერგავ.

მე ჯერ ვსწავლობ. სულ ორი წელიწადია, რაც მწვრთნელად ვმუშაობ. რასაკვირველია, საკუთარი თვისებებიც მაქვს, მაგრამ კარიერაში რამდენიმე დიდი მწვრთნელის ხელმძღვანელობით მიმუშავია და მათი გავლენა ჩემზე, რასაკვირველია, დიდი იქნება. ალექს ფერგიუსონის გარდა შემიძლია დავასახელო ჯონ ლაიალი და გლენ ჰოდლი. „ბლექბერნის“ მწვრთნელად რომ დამნიშნეს, სერ ალექსისგან მოლოცვის მესიჯი მივიღე (მესიჯის ფარულ მნიშვნელობას ორიოდ აბზაცის ქვემოთ მივუბრუნდებით), მაგრამ ეს გონებას ვერ ამირევს. კარგად ვიცი, რომ პრემიერლიგაში მტრები ვიქნებით. „ბლექბერნისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრების დროს ყველაფერი, რაც მე და ფერგიუსონს ერთად გადაგვხდენია, ფანჯრიდან იქნება მოსროლილი.

და კიდევ, უამრავჯერ მითქვამს, რომ „ინტერში“ დაბრუნებაზე ვოცნებობ. „სან სიროზე“ გატარებული წლები საუცხოოდ მახსოვს და „შავ-ლურჯების“ თავკაცობის ამბიციაც მაქვს. შემდეგ კი ინგლისის ნაკრებს დავუმიზნებ. თუკი ვუკაპიტნე, მწვრთნელობა რატომ ვერ უნდა შევძლო?

მაგრამ მანამდე დიდი გზაა. ჯერჯერობით კბილი კბილს უნდა დავაჭირო და დღევანდელ დიდ საქმეს შევეჭიდო.

შავკანიანი მწვრთნელები? ვფიქრობ, მომავალში შესაძლოა ლეს ფერდინანდი და სოლ კემპბელი შემოგვიერთდნენ“.

აი, ასეთია პოლ ინსი, „ბლექბერნ როვერსის“ ახალი მწვრთნელი, რომელიც ზოგადი და საკმაოდ ამბიციური საუბრის გარდა კონკრეტულ საკითხებსაც შეეხო და აქაც ფერგიუსონს მიუბრუნდა.

„ვიცი, რომ ალექს ფერგიუსონს ჩვენი ფორვარდის, როკე სანტა კრუსის გადაბირება უნდა, ჰოდა, თუ ის პარაგვაელთან დაკავშირებით მოგვმართავს, ვეტყვი, თავი დაგვანებოს. ხომ გითხარით, ფერგიუსონისგან მოლოცვის მესიჯი მივიღე, მაგრამ არაფერი შემეშლება. ჩვენ მტრები ვართ“.

შემდეგ ინსს „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და კრიშტიანუ რონალდუს კონფლიქტის ამბავზეც ჰკითხეს. მოგეხსენებათ, დღეს ინგლისში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საფეხბურთო თემა სწორედ ეს არის და საუბარი მასაც რომ შეეხო, სრულიად ლოგიკურია.

ინსის პასუხი ასეთი გახლდათ: „რონალდუ ასეთ ფეხბურთელად „ფერგიმ“ გაზარდა. მაგრამ არსებობს ოცნებაც და თუ კაცს ოცნების ახედნის საშუალება გეძლევა, ძნელია უარი თქვა. საამწუხაროა, რომ ამ ყველაფერმა არეულობა გამოიწვია“.

ბოლოს კი ისევ „ბლექბერნ როვერსზე“:

„საუკეთესო ფეხბურთელების შენარჩუნება ყველას სურს, მაგრამ თუ პრემიერლიგის დიდი ოთხეულიდან რომელიმე დევიდ ბენტლის ყიდვას მოინდომებს, კლუბის თავმჯდომარეს შეეხვდები და ვეთათბირები“.

პაპუნა კედია

დრო, გაშავდეს ფინალი

სად იქნება ამ დღეებში სამხრეთ აფრიკის 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის შეფი დენი ჯორდანი, თუ არა ევროპის ჩემპიონატზე — ბატონ ჯორდანს საკუთარი თვალით მართებს იმის შესწავლა, თუ როგორ ტარდება დიდი შეჯიბრებები. ჰოდა, პრესკონფერენციაც იქ, ვენაში მოაწყო.

დენი ჯორდანი

„ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან სამუელ ეტოო, დიდიე დროგბა ან მიკაელ ესიენი, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში აფრიკული გუნდის გაყვანა შეუძლიათ — განაცხადა შავ კონტინენტზე პირველი მუნდიალის მთავარმა ორგანიზატორმა — ეტოო, დროგბა და ესიენი დღეს, მსოფლიოს ტოპლიგების საუკეთესო ფეხბურთელთა მარაქაში არიან. ვფიქრობ, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ აფრიკული ფეხბურთი თვისობრივად სხვა სიმაღლეზე ავა და მთავარ ფავორიტთა შორის დაიკავებს მუდმივ ადგილს. ბოლო ხუთ წელიწადში ჩვენს კონტინენტზე ფეხბურთმა საოცარი წინსვლა განიცადა“.

შეგახსენებთ, რომ ჯერჯერობით აფრიკული ფეხბურთის მაქსიმუმი მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალში გასვლაა. 1990 წელს ამ ეტაპს კამერუნის ნაკრებმა მიაღწია, 2002-ში კი სენეგალმა.

„ბოლოს და ბოლოს, გვინდა, აფრიკული გული ფინალში ვიხილოთ — განარძო მისტერ ჯორდანმა, რომელმაც გამორჩეულ აფრიკულ გუნდებს შორის განა, კამერუნი და ნიგერია დაასახელა — მითუმეტეს, 2010 წლის მუნდიალი ჩვენს კონტინენტზე ტარდება“.

საინტერესოა, რომ ჯორდანმა პოტენციურ ფინალისტთა შორის საკუთარი ქვეყნის ნაკრები, სამხრეთ აფრიკა არ დაასახელა. სამხრეთელები 2006 წლის მუნდიალზე ხომ საერთოდ ვერ მოხვდნენ.

„გახსოვთ, საფრანგეთში, 1998 წელს ქუჩებში რა ზეიმები იმართებოდა? იგივე იყო კორეაში 2002-ში. ეს იმას ნიშნავს, რომ მასპინძლებს დიდებული ატმოსფეროს შექმნა შეუძლიათ. აფრიკა და ფეხბურთი... ეს, შესაძლოა, მართლა დიდი ზეიმი გამოვიდეს“.

პაპუნა კედია

ცოტაც და, ადებაიორი მილანელია

ერთ-ერთი მორიგი გაწელილი სატრანსფერო საგა „მილანისა“ და ემანუელ ადებაიორის ამბავია. უკვე გავიგეთ, რომ „როსონერის“ ტოგოელი ძალიან უნდა და პირიქით, მაგრამ ტრანსფერი რომ შედგეს, ამისთვის მილანელები „არსენალს“ უნდა გაურიგდნენ.

ბოლო ინფორმაციით, მხარეები საერთო ენის გამონახვას ყველანაირად ცდილობენ და ნელნელა შეთანხმებას უახლოვდებიან. ლონდონური კლუბი თურმე 31 მილიონ გირვანქას ითხოვს, „მილანი“ კი მზადაა, 28 გადაიხადოს. ასე რომ, თუ ორივე მხარე მცირე კომპრომისზე წავა, მომავალ სეზონში ადებაიორს „როსონერის“ მაისურით ვიხილავთ.

აქამდე 24 წლის თავდამსხმელის მსურველთა სიას „ბარსელონა“ მეთაურობდა, კატალონიელები 25 მილიონს იხდიდნენ, მაგრამ „მილანმა“ ჯიბეზე ხელის გვარიანად გაკვრა გადაწყვიტა. თან ადებაიორს სერია A-ში თამაში ურჩევნია პრიმერადივიზიონში ბურთაობას.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ გავრცელებული ცნობით, ისევ განახლდა მოლაპარაკებები რონალდინიოსთან და მიუხედავად იმისა, რომ „მილანში“ მისი გადასვლის ვარიანტი ყველას გამორიცხული ეგონა და „როსონერის“ შეფებიც იძახდნენ, ბრაზილიელი აღარ გვაინტერესებსო, ტრანსფერი შეიძლება მაინც შედგეს.

კოკი კანდელაკი



ობიექტი



ფეხბურთი რომ დიდი ბიზნესია, აბა, ამას მტკიცება რად უნდა. ასე მაგალითად, რუსეთის ვიზას თუ აიღებთ და მოსკოვში ჩახვალთ, ასეთი მატრიოშკების ყიდვა შეგეძლებათ. დავაკონკრეტოთ: ზედა მატრიოშკა რომან პავლიუჩენკოსია, მის ქვევით კი ანდრეი არშავინისა.

მოსკოვში ჩასულს გუს ჰიდინკის უზარმაზარი ბილბორდებიც შეგეფეთებათ, თუმცა, რაღა მოსკოვში — რა თბილისის ქუჩებში არ გინახავთ ჰიდინკის ბილბორდები, „სამსუნგის“ პროდუქციის შეძენას რომ გირჩევთ?

ფეხბურთი ბიზნესი, რა თქმა უნდა, მხოლოდ რუსეთში არ არის. ბაზელში, სპორტული მაღაზიის ვიტრინა მეპატრონეს აი, ასე მოუკაზმავს ბურთებით.

ფეხბურთი სპეკულანტებისთვისაც ბიზნესია. საწყალი გულშემატკივარი, ნახევარფინალის ბილეთს გამწარებული რომ დაეძებს, ეტყობა, ხელმოკლეა, თორემ სანდო წყაროები იუწყებიან, სპეკულანტებთან 800 ევროდ რა პრობლემაა ბილეთის ყიდვაო.

ძლივს არაკომერციულ ფოტოსაც მივადექით: ბაზელის „სენტ იაკობ პარკის“ კიბეზე თურქ დედას ჩვილი ჩამოჰყავს საბავშვო ეტლით. ჩვილმა რა გაიგო ვერ გეტყვით, აი, დედას კი შეუძლია იამაყოს, ჩვენი გმირების ვარჯიშს დაესწარიო.





მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

იო და გერიტი

გუს ჰიდინკის დედა, 86 წლის იო ჰიდინკი იმ ქომაგებს აღუშფოთებია, რომლებმაც მის შვილს ჰოლანდიასთან მოგების შემდეგ მოღალატე უწოდეს.

„ერთ-ერთ ვიდეოჩანაწერში ვნახე, როგორ ამბობს მავანი რეპორტიორი, რომ მეოთხედფინალის მერე მე ან გმირი გავხდები, ან ჯოჯოხეთში მოვხვდები“ — განაცხადა მწვრთნელმა, რომელსაც რამდენიმე ფანატური დაჯგუფება დაემუქრა.

„ჩემი შვილი მოღალატე არაა — ამბობს მოხუცი დედა — რუსეთის მოგება ჰოლანდიასთან მხოლოდ სპორტია და მეტი არაფერი. მედიის და ქომაგების გაბრაზება მარცხითაა გამოწვეული, მაგრამ წყენა ალბათ მალე გადაუვლით. მეც ჰოლანდიას ვგულშემატკივრობ, მაგრამ შვილი ჩემთვის უძვირფასესია.

ვინც თამაში ნახა, მიხვდება, რომ რუსეთის ნაკრები ჩვენსას აშკარად სჯობდა“.

იო ჰიდინკმა ფეხბურთს მარტომ უყურა და მეორე დღეს მეუღლეს მოუყვა შვილის ამბავი. ჰიდინკის მამა გერიტი 90 წლისაა და კლინიკაში მკურნალობს. იო გერიტს ყოველდღე აკითხავს.

ვაჟა ხუციშვილი

რუსეთია თუ გუსეთი?

გუს ჰიდინკის საქმე ისე კარგად მიდის, რომ მისი გარდაცვალების (ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს) შემდეგ რუსები, ალბათ, მაგზოლეუმიდან ლენინის ცხედარს გამოიტანენ და საპატიო ადგილზე ჰიდინკს დაასვენებენ.

ჰოლანდიელი მწვრთნელის სახელი რუსეთში ბავშვს რომ დაარქვეს, გუშინდელ „სარბიელში“ გვეწერა, ახლა კი ნიჟეგოროდელები მისულან თხოვნით ქალაქის მერთან, რომელიმე ქუჩას გუს ჰიდინკის სახელი მივაწეროთო.

„ის უკვე ლეგენდაა, რადგან გუნდი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიყვანა — ამბობენ ნიჟნი ნოვგოროდის საფეხბურთო ფანები — ასეთი მწვრთნელით თასსაც მოვიგებთ. 500 000 ხელმოწერა გვჭირდება საიმისოდ, რომ ჩვენი წინადადება ქალაქის სათათბიროში განიხილონ. ეს ძნელი საქმეა, მაგრამ ამისთვის შრომა ღირს. რაიონიდან რაიონში დავდივართ ხელმოწერების შესაგროვებლად“.

შემგროვებლებს ჯერ ერთი უარისმთქმელიც არ შეხვედრიათ, მაგრამ სხვა პრობლემას გადაეყარნენ — ყველას უნდა, რომ გუს ჰიდინკის ქუჩა მის უბანში იყოს.

ქალაქს რომ დაარქვან ჰიდინკგოროდი?

ვაჟა ხუციშვილი

ავსტრიას არ უნდა ბაზარი

ვენის პოლიციამ გადამყიდველებისგან დაახლოებით 300 ბილეთი ამოიღო. მათ შორის 155 კვირას გამართული ესპანეთ-იტალიის მატჩისა გახლდათ.

უეფას კომუნიკაციათა დირექტორმა უილიამ გეილარდმა საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა:

„ვფიქრობ, გადამყიდველთაგან ამდენი ბილეთი არასდროს ამოუღიათ“.

როგორც ირკვევა, იტალიისა და ესპანეთის ხსენებული მატჩის დროს იტალიელთა სექტორში დარჩენილი ცარიელი ადგილები სწორედ ამ სიმკაცრის ბრალი უნდა იყოს. შეგახსენებთ, რომ ეს მატჩი 51-ათასიან „ერნსტ ჰაპელზე“ გაიმართა.

ითქვა, რომ გადამყიდველთა თავხედობამ ევრო 2008-ზე ზღვარგადასულ მასშტაბებს მიაღწია. ისინი ბილეთებს ცეცხლის ფასად სრულიად დაუფარავად ყიდდნენ. საინტერესოა, რომ გადამყიდველთა შორის იყვნენ ამერიკიდან და ბრიტანეთიდან ჩამოსულებიც.

ისევ გეილარდი: „აქვს თუ არა ქვეყანაში გასაქანი შავ ბაზარს, პირდაპირ მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მოწესრიგებულია ქვეყნის კანონმდებლობა. ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნებიდან ავსტრია გადამყიდველთაგან უფრო დაცულია, ვიდრე შვეიცარია. შავ ბაზარს ოთხი წლის წინ, პორტუგალიაში სერიოზულად მოვუჭირეთ და დიდი ბრიტანეთის სასამართლოებშიც წარმატებით ვებრძვით“.

შვეიცარიელმა ხელისუფლებმა აღიარეს, რომ ამ მხრივ მათი კანონმდებლობა მეტად ლიბერალურია.

პაპუნა კედია

ზირიანოვი აბოლებს

ჰოლანდიასთან მოგების შემდეგ გუს ჰიდინკმა ზეიმი გახსნილად გამოაცხადა და „ზენიტის“ ნახევარმცველმა კონსტანტინ ზირიანოვმა პაპიროსი გააბოლა.

ზოგი ფეხბურთელი ბაზელის დასათვალიერებლად წავიდა, ზირიანოვი, იგნაშევიჩი, სემაკი და შირკოვი კი სასტუმროდან რამდენიმე კილომეტრით მოშორებულ კაფეში დასხდნენ.

ბიჭებმა ლუდი შეუკვეთეს და ამის საწინააღმდეგო მწვრთნელს არც არაფერი აქვს, მაგრამ ზენიტელმა სიგარეტს მოუკიდა და ნაყლაპ ლუდს ბოლი ვემრიელად დააწია.

მატჩის შემდეგ გუს ჰიდინკსაც ჰ ყვარებია სიგარით გართობა, ოღონდ მას 90 ან მეტი წუთი სარბენი არ აქვს, ზირინოვს კი დღეს ვნახავთ, როგორ ფორმაში იჭნება ესპანეთთან.

ისე, ბილიალეტდინოვმაც თქვა, ადრე მწვრთნელები სასტუმროში გვკეტავდნენ და წიგნს ვკითხულობდი, ჰიდინკთან კი მეტი თავისუფლეა გვაქვსო.

ვაჟა ხუციშვილი

მოხუცი სტამბოლში მიდის



69 წლის ლუის არაგონესი „ფენერბაჰჩეს“ მწვრთნელად დანიშნეს.

ამის შესახებ სტამბოლურმა კლუბმა გუშინ ოფიციალურად განაცხადა. კონტრაქტი ორწლიანია, ესპანელის ჯამაგირი კი უცნობი.

ლუის არაგონესს სტამბოლში ოთხი თანაშემწეც გაჰყვება, რომლებიც მასთან ნაკრებში მუშაობენ.

„ფენერის“ ყოფილი თავკაცი ზიკო კლუბიდან რამდენიმე დღის წინ წავიდა, რადგან ახალი ხელშეკრულების პირობებზე თურქებს ვერ მოურიგდა. ზიკოს ხელში გუნდი შარშან ჩემპიონი გახდა და პირველად უწია ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალს, სადაც „ჩელსისთან“ დამარცხდა.

ამ სეზონში „ფენერბაჰჩე“ მეორე ადგილზე გავიდა და ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს.

ლუის არაგონესს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ევრო 2008-ის შემდეგ ნაკრებში მუშაობას აღარ გააგრძელებდა და გაგანია ჩემპიონატის დროს ახალი სამსახური გამონახა, როგორც ლუიშ ფელიპე სკოლარიმ „ჩელსიში“.

არაგონესი ფეხბურთელობისას ფორვარდი იყო და 17-წლიან კარიერაში ათი წელი (1964-1974) მადრიდის „ატლეტიკოს“ შეალია, რომელშიც 265 მატჩში 123 გოლი გაიტანა. კარიერის დასრულებისთანავე „ატლეტიკოში“ მწვრთნელობა დაიწყო და 1977-ში ჩემპიონი გახადა. მერე მოიარა „ბარსა“, „ბეტისი“, „ესპანიოლი“, „სევილია“ და „ვალენსია“. ორჯერ იყო „მალიორკაში“ და კიდევ სამჯერ დაბრუნდა „ატლეტიკოში“.

ესპანეთის ნაკრებში 2004 წლიდანაა.

ვაჟა ხუციშვილი

ლეჩეში ბერეტა დაინიშნა

სერია A-ში დაბრუნებულ „ლეჩეს“ გადარჩენის სპეციალისტი მარიო ბერეტა გაწვრთნის. 48 წლის მწვრთნელი ბოლოს „სიენაში“ მუშაობდა. მან პოსტზე ჯუზეპე პაპადოპულო შეცვალა, რომელმაც „ვია დელ მარის“ ბინადრებთან ახალი კონტრაქტის დეტალები ვერ შეათანხმა.

კიკუმ ოპერაცია გაიკეთა

რუმინელმა მცველმა კრისტიან კიკუმ მტკივან მხარზე ოპერაცია გაიკეთა და ექიმების ვარაუდით, 27 წლის ფეხბურთელს სექტემბრის შუა რიცხვებამდე უქმობა მოუწევს. ასე რომ, მილანის „ინტერს“ მომავალი სეზონის სასტარტო მატჩებში მის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა.

რაცი და ლაციო

რომის „ლაციოს“ რუმინელი მცველის რაზვან რაცის შეძენა უნდა და მზად არის, დონეცკის „შახტარს“ მასში 4,5 მილიონი ევრო გადაუხადოს. თუმცა უკრაინულ კლუბს ეს თანხა სასაცილოდ არ ეყო — რაცი ბევრად მეტი ღირს და ან თანხა გაზარდეთ, ან დაივიწყეთო.

კოკი კანდელაკი

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ძალად ვარსკლავის ამბავი

მიხაელ ბალაკი? ის, შესაძლოა, „სტემფორდ ბრიჯზე“ ვარსკვლავი და გმირია, მაგრამ თანამემამულეები მსოფლიო კლასის ფეხბურთელად არ მიიჩნევენ — წერს ევრო 2008-ზე მივლენილი ინგლისელი ჟურნალისტი სტივენ ჰოვარდი, რომელმაც ბაზელში გაირგამოიარა და გერმანელ ქომაგებს ინგლისურ გუნდში მოთამაშე ფეხბურთელზე გამოჰკითხა.

ჰოვარდი უფრო შორსაც მიდის და ამტკიცებს, რომ სამშობლოში ბალაკი უბრალოდ არ უყვართ, რისი ნათელი მაგალითიც „ჩელსიში“ გადასვლის წინ „ბაიერნში“ ჩატარებული მისი ბოლო თამაში ყოფილა — ამ შეხვედრის დროს ბალაკს ტრიბუნებიდან უსტვინეს. სტვენა განმეორდა რამდენიმე დღის შემდეგაც, როდესაც „ბაიერნის“ ფეხბურთელებმა მიუნხენში გასეირნება-პარადი მოაწყვეს.

„ბალაკი პატივსაცემი პიროვნებაა, რადგან გერმანიაში მას ჯეროვან პატივს არ სცემენ, ის კი მაინც თავდადებით იბრძვის“ — უთქვამს ჰოვარდისთვის „არსენალის“ თავკაც არსენ ვენგერს, რომელიც ჟურნალისტს ბაზელშივე გადაეყარა. მოგეხსენებათ, გერმანიისა და თურქეთის გუშინდელი შეხვედრა შვეიცარიის ამ ქალაქში გაიმართა.

მაგრამ, აბა, გერმანელებს ჰკითხეთ: იმსახურებს ბალაკი ვენგერის ნახსენებ პატივისცემას?

ისინი ამბობენ, რომ მათი მეცამეტე ნომერი სულაც არ არის ისე ძლიერი, როგორც ხატავენ, ამტკიცებენ, ის მოედანზე თაღლითობს, მსაჯებს ატყუებს, ხოლო „ბაიერნსა“ თუ ნაკრებში ისეთი ფეხბურთი, როგორის თამაშიც თითქოსდა შეუძლია, არასდროს უთამაშია.

და განა მარტო გულშემატკივრები? ბალაკის კრიტიკას არც ყოფილი ფეხბურთელები ერიდებიან. „ჩელსის“ ნახევარმცველი განსაკუთრებით მწვავედ გერმანიის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ლოთარ მათეუსმა გააკრიტიკა. მან ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ჩელსის“ „მანჩესტერთან“ დამარცხების შემდეგ ასე ბრძანა:

„ასეთი თამაშით ბალაკს 1990 წლის გერმანიის ნაკრებში არავინ წაიყვანდა“.

აღსანიშნავია, რომ ბალაკსა და მის აგენტს, მიხაელ ბეკერს გერმანულ პრესასთან ყოველთვის რთული ურთიერთობა ჰქონდათ. მეტიც, პერიოდულად ამ ურთიერთობას მტრულიც კი შეიძლება ეწოდოს.

თუმცა, მრავალმილიონიან გერმანიაში არიან ადამიანები, რომლებსაც ახსოვთ, თუ როგორ თამაშობდა მიხაელი „ლევერკეზენში“, როდესაც გუნდი 2002 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა და ამ მეხსიერებაზე დაყრდნობით ამბობენ, რომ ქვეყანაში ბალაკის მიმართ მართლა უსამართლო დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. ზოგი იმავე 2002 წლის მეორე ეპიზოდს იხსენებს: მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ბალაკმა კორეელებს გაუტანა გოლი და (რატომღაც ამას ხაზს უსვამენ) ეს მაშინ, როდესაც კარგად იცოდა, რომ ორი ყვითლის გამო ფინალში თვითონ ვერ ითამაშებდა.

„სანამ „ბაიერნში“ გადავიდოდა, ანუ 2001-02 წლებში, ბალაკს მართლაც საუცხოო სეზონი ჰქონდა — დაუდასტურა ჰოვარდს გერმანიის ნაკრებთან დაახლოებულმა ერთმა პიროვნებამ, რომელსაც ინგლისელი ჟურნალისტი ასევე ბაზელში შეხვდა — თუმცა მას მერე ამაღელვებელი ფეხბურთი აღარ უთამაშია. მართალია, „ბაიერნის“ შემადგენლობაში მან შინაური ჯილდოები მოიპოვა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ძალიან ძლიერ გუნდში თამაშობდა, ეს მაინცდამაინც ძნელი არ უნდა ყოფილიყო. ფანებს მის ამ წარმატებებზე მეტად ის ენიშნათ, რომ ბალაკის დახმარებით „ბაიერნმა“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი ვერ გადალახა. 2006 წელს „მილანის“ წინააღმდეგ, პირველ შეხვედრაში (1:1) გოლი კი გაიტანა, მაგრამ საპასუხოში, რომელიც იტალიურმა გუნდმა 4:1 მოიგო, მოედანს არც დასტყობია. იგივე შეიძლება ითქვას გერმანიის ნაკრებში მის მოღვაწეობაზეც. პარაგვაისთან, კორეასა და საუდის არაბეთთან მართლაც მშვენივრად ითამაშა, მაგრამ უფრო მაღალ მოთხოვნებს ველარ აკმაყოფილებს.

ერთი სიტყვით, მსოფლიო კლასის ფეხბურთელის სტატუსს ყველა ვერ აკმაყოფილებს. ბალაკიც უბრალოდ კარგი მოთამაშეა და მეტი არაფერი. მას უბრალოდ პრესა უკეთებს დიდ რეკლამას.

და კიდევ, გერმანიაში ბალაკი მსაჯების მოტყუებისთვის არ უყვართ. „ჩელსის“ მაყურებელი მიხვდება, რაზეც არის ლაპარაკი. გერმანელებს არ უყვართ, როდესაც ფეხბურთელი ეპიზოდს აფორმებს“.

მაგრამ, როგორც ჰოვარდი წერს, ევროპის ჩემპიონატის დღეებში ბალაკის მოწინააღმდეგეებიც კი აღიარებენ, რომ გერმანელთა მეცამეტე ნომერი ბუნდესნაკრების წარმატებებში თავის გამოკვეთილ როლს თამაშობს: საჯარიმო დარტყმა ავსტრიასთან და თავური პორტუგალიასთან, მეოთხედფინალში.

ხოლო რა ქნა გერმანელთა გაკრიტიკებულმა ვარსკვლავმა გუშინ, ნახევარფინალში, ამ სტრიქონების კითხვისას კარგად მოგეხსენებათ.

პაპუნა კედია

მიხაელ ბალაკი

ბრაზილიელი სენა

ევროპის ჩემპიონობაზე მეოცნებე ბრაზილიელი

ევრო 2008-ს ნახევარფინალში გასული ესპანეთის ნაკრების რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო ნატურალიზებული ბრაზილიელი მარკოს სენაა, ვინც დიდი მოცულობის შავ სამუშაოს ასრულებს, „ფურია როხას“ დაცვაშიც ეხმარება და შეტევაშიც

— თავს როგორ გრძნობთ?

— გამდლობთ, უკვე ბევრად უკეთ. ნელნელა ძალებს ვიკრებ და იმედია, მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები. იტალიასთან ძალიან ხანგრძლივი და მძიმე მატჩი იყო, ლოგიკურია, რომ გადავიღალეთ, მაგრამ რუსეთთან შეხვედრისთვის 100 პროცენტით მზად უნდა ვიყოთ.

— თუ მზად არ იქნებით, სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდებით, ეს არ განერვიულებთ?

— არა. თუ შევატყობ, რომ მზად არ ვარ, მწვრთნელს თავად ვეტყვი. ასეთ შემთხვევაში ავჯობებს, სხვა ფეხბურთელმა ითამაშოს, რომელიც ნაკრებს მეტ სარგებელს მოუტანს. გახსოვდეთ, ახლა მთავარია გუნდი, მისი ინტერესები და ფინალში გასვლა, პირადი ამბიციები კი არა.

— როგორ წარმოგიდგენიათ რუსეთთან ნახევარფინალური მატჩი?

— ნახევარფინალში ყველა გუნდი ძალიან ძლიერია. რუსეთს უკვე შეხვდით და ვიცით, რომ სერიოზული ნაკრებია, ბევრი კარგი ფეხბურთელით. თუმცა ჯგუფურ ეტაპზე ჩვენს შეხვედრას და მოგებას ახლა არანაირი მნშვნელობა არ აქვს. ასეა თუ ისე, მეტოქეზე დიდი აქცენტის გაკეთება სწორად არ მიმაჩნია, საკუთარ თავზე უნდა ვიფიქროთ და ჩვენი სტილით ვითამაშოთ.

— იქნება შთაბეჭდილება, რომ ლუის არაგონესმა შეძლო ბრწყინვალე ატმოსფეროს შექმნა ნაკრებში, რაც აქამდე პრობლემა იყო.

— მართალია. მწვრთნელი ისე გვექცევა, როგორც მამა საკუთარ შვილებს. მან მოგვცა სიმშვიდე და გვენდობა, გვიცავს ყოველგვარი თავდასხმისგან და ასე შემდეგ. გარდა ამისა, არაგონესი ის ადამიანია, რომელმაც უკვე ჩაწერა თავისი ფურცელი ესპანური ფეხბურთის ისტორიაში.

— თუმცა კიდევ ერთი ფურცლის ჩაწერა შეუძლია, თუ ევროპის ჩემპიონები გახდებით...

— ჩვენ გვჯერა, რომ ეს შეგვიძლია, მაგრამ ამავე დროს, კარგად ვიაზრებთ, თუ რა რთული იქნება მიზნის მიღწევა.

— თუ ესპანეთი გაიმარჯვებს, თქვენ პირველი ბრაზილიელი გახდებით, რომელმაც ევროპის ჩემპიონატი მოიგო...

— მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობა უკვე დიდი პატივია. აქ გამარჯვება კი საოცრება იქნება. ბოლო წლებში, ფაქტობრივად, ყველა ევროპის ჩემპიონატზე თამაშობენ ჩემი თანამემამულეები — პეპე, დეკუ... ასე რომ, ადრე თუ გვიან, ბრაზილიელი აუცილებლად გახდება ბებერი კონტინენტის ჩემპიონი. ცხადია, წინააღმდეგი არ ვარ, რომ პირველი მე ვიყო.

— და ბრაზილიაში, ალბათ, გაიფიქრებენ — ეჰ, რა მოთამაშე დავკარგეთ...

— სამაგიეროდ, ესპანეთმა იპოვა!

— იტალიასთან მატჩში ახლოს იყავით იმასთან, რომ ესპანეთის მაისურით თქვენი პირველი გოლი გაგეტანათ, მაგრამ ჯანლუიჯი ბუფონს ძელმა უშველა.

— გოლზე ვოცნებობ. მინდა, ფინალში ვითამაშაო და მოვიგო, მაგრამ თუ გოლსაც გავიტან, ეს ნამდვილი ბომბი იქნება.

— ფინალის წყვილი როგორ გეასახებათ?

— ესპანეთი — გერმანია.

— ბოლო დროს საუბრობენ, სენა „ვილიარეალიდან“ „იუვენტუსში“ გადადისო...

— ახლა ყველაზე ნაკლებად მომავალი საკლუბო კარიერა მადარდებს. მხოლოდ ესპანეთის ნაკრებზე და ევროპის ჩემპიონატზე ვფიქრობ, რომელშიც კიდევ ორი მატჩი უნდა მოვიგოთ და მიზანს მივაღწევთ. არ დავმალავ, „იუვე“ მიზიდავს, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკის და ფიქრის დრო არ არის.

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის ჩემპიონატის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

ნახევარფინალი. დღეს

მშრალი კანონი და გადასაპარსი თავები



„ერნსტ ჰაპელი“, ავსტრია

რუსეთი — ესპანეთი

სავარაუდო შემადგენლობები

რუსეთი: აკინფეევი; ანიუკოვი, იგნაშევიჩი, ვ. ბერეზუცკი, ჟირკოვი; ზირიანოვი, სემაკი, სმეშოვი, ბილიალეტდინოვი; არშავინი, პავლიუჩენკო

მწვრთნელი: ლარს ლაგერბაკი

ესპანეთი: კასილიასი; სერხიო რამოსი, მარჩენა, პუიოლი, კაპდევილა; სილვა, სენა, ხავი, ინიესტა; ვილია, ტორესი

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერე (ბელგია)

ესპანურმა „მარკამ“ გულშემატკივრებს იდეა მიაწოდა — გადაიპარსონ თავები ნაკრების გაჩემპიონების შემთხვევაში.

გაზეთმა ვებგვერდზე გამოაქვეყნა ფიცის ტექსტი, რომელიც დაახლოებით ასეთია:

„საზეიმოდ ვფიცავ ქომაგებს, ნაკრებს და „მარკას“, რომ თუ ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონი გახდება, ესპანურ თავზე ერთ ღერ თმასაც არ დავიტოვებ“. ფიც-აქციას უკვე 10 ათასზე მეტი ფანი შეუერთდა.

იმისათვის, რომ ქვეყანაში პრიალა თავები მომრავლდეს, ესპანეთს ჯერ რუსეთის მეორედ დამარცხება, მერე კი ფინალში გამარჯვება მართებს.

მანამდე კი ერთი ფსიქოლოგიური თამაში ლუის არაგონესმა საკუთარ თავს უნდა მოუგოს. საქმე ისაა, რომ დღევანდელ მატჩში ესპანელები სტუმრებად ითვლებიან და ყვითელი ფორმით თამაში მოუწევთ, რადგან რუსებმა წითელი აირჩიეს.

ჯგუფის სამივე შეხვედრაში და მეოთხედფინალშიც, ესპანეთმა წითლით ითამაშა და მოიგო.

ლუის არაგონეს საშინლად არ უყვარს ყვითელი. მადრიდის „ატლეტიკოში“ მწვრთნელობისას ამ გუნდის ყვითელ ფორმას ვერ იტანდა, რომლითაც გასვლით მატჩებს ატარებდნენ.

მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე კი, როცა ესპანეთი ტურნირის დაწყებისას დორტმუნდში ჩავიდა, არაგონესმა სტუმრისთვის კუთვნილ ყვითელ ყვავილებზე უარი თქვა.

გერმანიაში წასვლამდე, როცა გუნდი მადრიდში იკრიბებოდა, რაულ გონსალეს ბლანკო ყვითელი მაისურით გამოცხადდა და მწვრთნელმა საჩქაროდ გამოცვლა სთხოვა.

„ელ პაისს“ თუ ვერწმუნებით, ლუის არაგონესი კაბალისტი ყოფილა (კაბალა — მისტიკურ-ფილოსოფიური, სულიერი მოძღვრება) და ამ რელიგიის მიხედვით, ყვითელი უბედურების მომტანია.

„ჩემთვის ეს ფერი პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან პრიმერაში ყვითლით ვთამაშობ“ — განაცხადა „ვილიარეალის“ ნახევარმცველმა სენამ, ხოლო პუიოლმა ბრძანა: „თუ სწორად მახსოვს, თებერვალში ფრანგებს ამხანაგურად რომ მოვუგეთ, ყვითელი გვეცვა და ახლაც გამარჯვების იმედი მაქვს“.

ხავი ერნანდესი: „ჯგუფის პირველ მატჩში ჩვენთან წაგებამ რუსები ნოკდაუნში ჩააგდო, მაგრამ მომდევნო სამი შეხვედრა იმდენად კარგად ჩაატარეს, რომ უკვე ჩემპიონატის ფავორიტებადაც კი მიიჩნევენ. მართალია, სამბურთიანი სხვაობით მოვუგეთ, თუმც მეორე გოლისას ცოტა გაგვიმართლა, მერე კონტრშეტევაზე გადავედით და თამაში გაგვიადვილდა.

იტალიის დამარცხებით და ნახევარფინალში გასვლით თავდაჯერებულობა შეგვემატა, მაგრამ მეტოქეს რეალურად ვაფასებთ და არაა იმის საშიშროება, რომ გამარჯვება თავში აგვივარდეს

ბევრს ლაპარაკობენ არშავინზე, თუმც რუსეთის ნაკრების ძალა უფრო გუნდურობაშია და ერთ ფეხბურთელზე არ არის დამოკიდებული. ამ გუნდში არიან მაღალი კლასის მოთამაშეები, რომლებსაც ევროპა არ იცნობდა. მაგალითად პავლიუჩენკო და ჟირკოვი

ჰოლანდიასთან რუსთა მატჩს ვუყურეთ და, ჩემი აზრით, დამატებით ტაიმებში უკეთესი ფიზიკური მომზადების ხარჯზე ავჯობეს. აქვე ვიტყვი, რომ არც ჩვენ გამოვიყურებოდით ურიგოდ იტალიასთან დამატებულ დროში“.

ფრანსესკ ფაბრეგასი: „ჩვენ აქ იმისთვის არ ჩამოვსულვართ, რომ მხოლოდ ნახევარფინალში გაუსვლელობის ოცდაოთხწლიანი ნავსი გაგვეტეხა. ჩემპიონობა გვსურს და საამისო ძალა შეგვწევს. წინ კიდევ ერთი ნაბიჯი უნდა გადავდგათ, მაგრამ ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ რუსებს ნახევარფინალში ისევე იოლად მოვუგებთ, როგორც ჯგუფში.

ძალიან ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ რატომ არ ვარ ძირითად შემადგენლობაში. ლაპარაკობენ ჩემს განწყობაზე და ფორმაზე, მაგრამ მე მხოლოდ ერთი რამ მსურს — დავეხმარო ნაკრებს.

თავიდან მათამაშებენ, ბოლო წუთზე შემიყვანენ, დამატებულ დროში თუ პენალტებისას, ჩემთვის სულერთია და ბოლომდე დავიხარჯები. ამით მწვრთნელისადმი დამოკიდებულება არ შემეცვლება“.

რუსთა ნაკრების კაპიტანმა სერგეი სემაკმა თანაგუნდელებს შეახსენა, რომ ესპანეთთან პირველი მატჩი ინდივიდუალური შეცდომების გამო წააგეს, ხოლო დინიარ ბილიალეტდინოვმა მეტოქეზე საუბრისას თქვა, იტალიასთან ძალიან მოსაწყენი ფეხბურთი ითამაშესო.

„ორი შეცდომის შედეგად უკვე 0:2-ს ვაგებდით და ცხდია, რომ ამის მერე თამაშის შემობრუნება გაგვიჭირდებოდა. ამჯერად გაათმაგებული ყურადღება გვმართებს. ახლა გაცილებით უკეთეს ფორმაში და კარგ ხასიათზე ვართ“ — აღნიშნა სემაკმა.

დინიარ ბილიალეტდინოვი: „იტალია — ესპანეთის მეორე ტაიმი ვნახე და მოსაწყენი იყო. ესპანელები ფრთხილობდნენ, ჩვენთან კი ბევრად უფრო შემტევი ფეხბურთი ითამაშეს.

იტალიასთან მომენტები თითქმის ვერ შექმნეს, რადგან ეს მატჩი უფრო ტაქტიკურ ჭიდაობას ჰგავდა.

ვფიქრობ, რომ აღარ შევცდებით დაცვაში ისე, როგორც ჯგუფში პირველი მატჩისას“.

გუს ჰიდინკი: „სასიამოვნოა, რომ გუნდი მატჩიდან მატჩამდე უმატებს და საკუთარ შეცდომებზე სწავლობს. ზედიზედ სამ შეხვედრაში ძალიან კარგად ვითამაშეთ. ვიმედოვნებ, რომ პროგრესი ესპანეთთანაც გაგრძელდება.

ხუთშაბათს შეტევის მოყვარული ორი ნაკრები გავა მოედანზე და გულშემატკივრები ალბათ სასიამოვნო ფეხბურთს ნახავენ. ზოგადად, მგონია, რომ ამ ჩემპიონატმა გაამართლა, რადგან ნახევარფინალში შემტევი გუნდები არიან. ქომაგს მოსწონს ისეთი მატჩების ნახვა, რომლის შედეგის გამოცნობაც თითქმის შეუძლებელია.

ჩვენი წინსვლის საიდუმლო რეცეპტი არ არსებობს. მე მომწონს ახალგაზრდა, ნიჭიერ ფეხბურთელებთან მუშაობა და მათ აღზრდაში დახარჯული ენერგია უკან მიბრუნდება.

აუცილებელი არაა, ვარსკვლავები გყავდეს, მთავარია, გუნდში ამბიციური ბიჭები შეკრიბო, რომლებსაც შრომა არ ეზარებათ. როდესაც თამაში გსიამოვნებს, კარგი შედეგიც მოდის“.

„ძნელია, რაიმე სიახლით გააკვირვო ისეთი გამოცდილი მწვრთნელი, როგორიც ჰიდინკია, მაგრამ ჩვენ მაინც შევეცდებით“ — განაცხადა ლუის არაგონესმა, რომელიც დღეს დამარცხებული წავა სახლში თუ ფინალის შემდეგ გამარჯვებული, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტს აღარ გააგრძელებს.

რუსეთი და ესპანეთი მეხუთედ შეხვდებიან ერთმანეთს. ჯგუფის მატჩის ანგარიშს აღარ გავიმეორებთ, მანამდე კი ამხანაგურში (1998) ესპანელებმა შინ 1:0 მოიგეს, ევროპის ჩემპიონატზეც (2004) ამავე ანგარიშით აჯობეს და 2006-ში ალბასეტეში ამხანაგურ მატჩში უგოლოდ დაუზავდნენ.

და ბოლოს — დღეს მოსკოვის ცენტრში ოთხი საათიდან მინის ტარით ალკოჰოლის გაყიდვა ხვალ დილამდე აიკრძალება. რუსთა მილიცია შიშობს, რომ ფინალში გასვლის შემთხვევაში, ქალაქის ცენტრი გამოსაფხიზლებელს არ დაემსგავსოს.

კაფე-ბარებში და რესტორნებში მხოლოდ ჩამოსასხმელი ალკოჰოლური სასმელი გაიყიდება.

ვაჟა ხუციშვილი

რუსეთი – ესპანეთი

4	მატჩი	4
0	მოგება	3
1	ფრე	1
3	წაგება	0
1	გოლები	6

გზა მეოთხედფინალამდე

რუსეთი

ესპანეთი 4:1 რუსეთი
1:0, 2:0, 3:0 ვილია (20, 44, 75), 3:1 პავლიუჩენკო (86), 4:1 ფაბრეგასი (90)

საბერძნეთი 0:1 რუსეთი
0:1 ზირიანოვი (33)

რუსეთი 2:0 შვედეთი
1:0 პავლიუჩენკო (24), 2:0 არშავინი (50)

ჰოლანდია 1:3დ.დ. (1:1) რუსეთი
0:1 პავლიუჩენკო (56), 1:1 ვან ნისტელროი (86), 1:2 ტორბინსკი (112), 1:3 არშავინი (116)

ესპანეთი

ესპანეთი 4:1 რუსეთი
1:0, 2:0, 3:0 ვილია (20, 44, 75), 3:1 პავლიუჩენკო (86), 4:1 ფაბრეგასი (90)

შვედეთი 1:2 ესპანეთი
0:1 ტორესი (15), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (34), 1:2 ვილია (90)

საბერძნეთი 1:2 ესპანეთი
1:0 ხარისტეასი (42), 1:1 დე ლა რედი (61), 1:2 გუისა (88)

ესპანეთი 0:0დ.დ. (4:2პ) იტალია

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

ნახევარფინალი

№29 გერმანია 3:2 თურქეთი

25 ივნისი. ბაზელი (შვეიცარია). „სტ. იაკობ-პარკი“. 39 374 მაყურებელი

0:1 ულურ ბორალი (22), 1:1 შვაინშტაიგერი (26), 2:1 კლოზე (79), 2:2 სემიჰი (86), 3:2 ლამი (90)

1 ლემანი

მწვრთნელი: იოახიმ ლიოვი

3 ფრიდრიხი | 17 მერტეზაკერი | 21 მეცელდერი | 16 ლამი

15 ჰიცლშპერგერი | 6 როლფესი

21 სილვა | 13 ბალაკი | 6 ინიესტა

11 კლოზე

9 სემიჰი

16 ულურ ბორალი | 19 აიჰანი | 22 ჰამით ალთინთოფი | 18 ქაზიმი

7 მეჰმეთ აურელიო

3 ჰაქან ბალთა | 4 გიოქჰანი | 6 მეჰმეთ თოფალი | 20 საბრი

მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი

1 რუშთუ

შეცვლა: როლფესი – 8. ფრინგსი (46), აიჰანი – 21. მევლუთი (81), ულურ ბორალი – 10. გიოქდენიზი (84), ქაზიმი – 11. თუმერი (90), ჯლოზე – 2. იანსენი (90)

გაფრთხილება: სემიჰი (53), საბრი (90)

მსაჯები: მასიმო ბუზაკა (შვეიცარია); მატიას არნეტი (შვეიცარია), სტეფან ჯუა (შვეიცარია)

14	ჯარიმა	15
2	ჯუთხური	8
4	ჯარისკენ დარტყმა	6
3	ჯარში დარტყმა	11
0	თამაშგარე	1
27,34 წთ	ბურთის ფლობა	32,59 წთ
45%	ბურთის ფლობა	55%

მატჩის გმირი ფილიპ ლამი

თურქეთზე უფრო თურქეთი გერმანიაა

თურქებმა ისტორიის კარს მიუკაკუნეს და ფინალში გასვლა სცადეს, მაგრამ ფილიპ ლამმა კარი არ გაუღო.

ფათიჰ თერიმის გუნდისგან მორიგი სასწაულის მცდელობა „ბაიერნის“ მცველმა აღკვეთა ჰიცლშპერგერთან გათამაშებული კედლის შედეგად გატანილი კოხტა გოლით.

საგოლე კომბინაციის დაწყებისას ლამის წინ თურქი ფეხბურთელი ჩაიკეცა, მაგრამ გერმანელებმა თამაში არ გააჩერეს და სწორედ ამას ედავებოდა ჰამით ალთინთოფი მეტოქეს მატჩის დასრულების შემდეგ.

ამ ამბავს, ცხადია, მითქმა-მოთქმა მოჰყვება, მაგრამ უკან ვეღარ დააბრუნებენ.

თურქები ნახევარფინალში ისე გავიდნენ, ანგარიში არცერთ მატჩში არ გაუხსნიათ, რაც წუხელ პირველად მოახერხეს.

ალბათ სჯობდა, არ გაეტანათ, რადგან სასწაულები იმ შემთხვევაში გამოსდიოდათ, როცა მათი მეტოქე დაწინაურდებოდა.

თუმცა ზედიზედ მეოთხე ზღაპრთანაც ახლოს იყვნენ, როცა სემიჰ შენთურქმა, ისევე, როგორც შვეიცარიასთან და ხორვატებთან, თავისი ჯადო ფეხით გაათანაბრა.

აი, აქ კი, ეტყობა, თვითონ თურქებმაც ველარ დაიჯერეს, რომ საოცრებები უსასრულოა და თვითონვე დაემართათ ის, რითაც აქამდე სხვებს აოცებდნენ — ბოლო წამს გოლი გაუშვეს.

რუშთუ რეჩბერმა და სემიჰ შენთურქმა ველარ მოასწრეს იმ ფოკუსის გამეორება, ხორვატებთან რომ გააკეთეს და ევროპის სამგზის ჩემპიონი გერმანია ფინალში მეექვსედ გავიდა.

მიროსლავ კლოზეს გოლი

რუშთუ რეჩბერმა კი ერთი და თურქთათვის საზიანო ფოკუსი 79-ე წუთზე გააკეთა, როცა კარიდან ლამის ჩაწოდებული ბურთის მოსაგერიებლად გამოვიდა და კლოზეს ჩემპიონატზე მეორე გოლი გაატანინა.

მსგავსი რამ ხორვატებთანაც ჩაიდინა, როცა კარიდან გამოსული ლუკა მოდრიჩს მცველივით ეთამაშა. მაშინაც დასაჯეს და ახლაც. მაშინ წაგებას გადაურჩნენ, ამჯერად კი ვერა.

მოკლედ, ფილიპ ლამმა საგოლე პასიც მიითვალა და გამარჯვებისაც შეაგდო. ბასტიან შვაინშტაიგერმა კი დაახლოებით ისეთივე გაიტანა, როგორც პორტუგალიასთან. რა უცბად გამოცხადდება ხოლმე მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში, კარის წინ, დაბარებულივით.

შვაინშტაიგერმა პორტუგალიასთან გოლი და ორი საგოლე პასი მიითვალა, თურქებთან კი გმირი ფილიპ ლამი გახდა.

მაშ ასე, ფინალში გავიდა გერმანია, გუნდი, რომელმაც მეოთხედფინალში და ნახევარფინალში 3-3 გოლი გაიტანა და დამატებითი დრო არ დასჭირვებია.

„ბაიერნის“ გულშემატკივრები კი ალბათ შენიშნავენ, რომ ამ ექვსი გოლიდან ხუთი სწორედ ბაიერნელებისაა.

ვაჟა ხუციშვილი

ვინ რა თქვა

ფილიპ ლამი: „დღეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უშესანიშნავესი მომენტი მქონდა. ჩვენ ფინალში ვართ! მწარედ მახსოვს, ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში რომ ვერ გავედით. ახლა რას ვაპირებთ? პირველ რიგში, უნდა ვიზეიმოთ, მერე კი ფინალისთვის მოვემზადოთ. ყველაფერი, რაც ხდება, დიდებულია“.

იოახიმ ლიოვი: „უზომოდ ბედნიერი ვარ. ბოლო წამამდე ბრძოლა იყო. რაც მოხდა, ამის აღწერა შეუძლებელია“.

ფათიჰ თერიმი: „გერმანელებს გამარჯვებას ვულოცავ და ფინალში გამარჯვებას ვუსურვებ. ჩემი გუნდით კი ამაყი ვარ. დარწმუნებული ვარ, ჩვენს ბიჭებს კიდევ ბევრი რამის მიღწევა შეუძლიათ. ისინი კიდევ დაანახებენ მსოფლიოს, როგორი ძლიერებიც არიან. შემიძლია ვთქვა, რომ ევროპის ჩემპიონატის ყველაზე ფერსავსე გუნდი ვართ. მართალია, სახლში მივდივართ, მაგრამ რა ვუყოთ, ეს ფეხბურთია“.

ულურ ბორალმა მატჩის მსვლელობისას 4-ჯერ დაარტყა და ოთხჯერვე ბურთი კარის ჩარჩოში წავიდა.

იენს ლემანს კი 7 დარტყმის მოგერიება მოუხდა.

გადაცემებისას ყველაზე აკურატული აიჰანი გამოდგა — 90 პროცენტი ზუსტი გამოუვიდა, ხოლო ყველაზე მეტი პასი ჰამით ალთინთოფის ანგარიშზეა — 63.

ბომბარდირები

დავიდ ვილია (ესპანეთი)	4
ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია)	3
ჰაქან იაქინი (შვეიცარია)	3
რომან პავლიუჩენკო (რუსეთი)	3
სემიჰ შენთურქი (თურქეთი)	3

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge